ISSN 0182—5973



# პიონერი

7
1985



ტალალაევსკიდან წერილი მოვიდა. ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის წევრები კოლექტიურ პასუხს ამზადებენ.

# კახათელი პიონერების საფესტივალო საჩუქარი



(200 მანეთი ფესტივალის ფონდში)

თემურ ცაგარელი
ავტორის ფოტოები

მსოფლიო ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობის ყურადღების ცენტრში მუდამ იყო ბავშვები და მათთან დაკავშირებული პრობლემები. ასეა წელსაც, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალზე მოსკოვში დიდი ყურადღება დაეთმობა ბავშვებს. გადაწყდა, ერთი დღე ნორჩებს მიეძღვნას. აქ ჩამოვლენ ბავშვთა მხატვრული კოლექტივები, მოცეკვავეები, სიმღერისა და მუსიკის ანსამბლები. მოეწყობა ასფალტზე ხატვის კონკურსები დევიზით: „დაე, მუდამ იყოს მზე!"

ფესტივალისათვის მზადების პერიოდში ჩვენი დიადი ქვეყნის სკოლებში და პიონერული ბანაკების რაზმეულებში ჩატარდა კონკურსები ფესტივალის თემაზე შესრულებულ ნახატებზე, სიმღერებზე. პიონერია აქტიურად ჩაება აქციაში „სალუტ, მშვიდობავ!" ნორჩმა ლენინელებმა მონაწილეობა მიიღეს შაბათობებში, და აქ გამომუშავებული თანხები ფესტივალის ფონდში გადარიცხეს.

საერთო ფერხულში ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ვანიონ დარასელის სახელობის პიონერული რაზმეულიც ჩაება. როცა შეიტყვეს, გორელმა პიონერებმა ფესტი-



ხელსაქმის მოყვარული გოგონები ცდილობენ, მათ ნახელავს წუნი არ დაჰყვეს.

ვალის ფონდში 150 მანეთი შეიტანესო, კახათელებმა გადაწყვიტეს, ჩვენს სიტყვას ჩვენც ვიტყვითო, იმავე დღეს სახელდახელოდ მოიწვიეს რაზმეულის შეკრება და უფროსი პიონერხელმძღვანელის ნონა დარასელიას მეთაურობით საქმეს შეუდგნენ. რაზმეულის ყველა წევრმა ის საქმე იკისრა, რაც მას ეხერხებოდა. ხელსაქმის ოსტატებმა, მე-6 კლასელებმა ირინე დარასელიამ და ნანა ცხონდიამ თავიანთი ნახელავით ყველა გააოცეს. ირინემ „მულინეს" ფერადი ძაფებით შესანიშნავად მოქარგა ცხვირსახოცები, მოქსოვა და ლამაზად ამოქარგული ყვავილებით შემკო პატარა ხელჩანთები. ნანამ საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისათვის მოკლე შარვლები და ქათქათა წინსაფრები შეკერა.

მათ არც ლია გუგუჩია და როზეტა კვარაცხელია ჩამორჩნენ. ლიამ კაბა და წინდები მოქსოვა, როზეტამ კაბები და წინსაფრები შეკერა. ხეზე მხატვრული ამოწვის ნამდვილი ოსტატობა გამოამჟღავნა მეექვსეკლასელმა გიორგი ქორთუამ — ფირფიცარზე მან რუსული ხალხური ზღაპრის „ტერემოკის" გმირები გამოსახა. საერთო საქმეში ჟანა და ნანა გუგუჩიებმაც შეიტანეს თავიანთი წვლილი. ჟანამ დიასახლისებისათვის წინსაფრები შეკერა, ნანამ კი პატარები გაახარა — მათი თოჯინებისთვის კოხტა კაბები მოქსოვა. თანატოლებს მხარში ამოუდგა შავლეგ მოსიაც. მის მიერ გაკეთებული პატარა სათამაშო ურიკები ხელიდან ხელში გადადიოდა. ბოლოს, როცა ხელმარჯვე ოსტატებმა ყველაფერი მოამზადეს, სპეციალურად მოიწვიეს საქონელმცოდნე და თავიანთი ნახელავი შეაფასებინეს. მერე კი სკოლის წინ დროებით მოწყობილ სავაჭრო ფარდულებში გამოფინეს თავიანთი „საქონელი". მუშტარიც ბევრი მოვიდა. ბაზრობაზე ბევრი კეთილი სიტყვა ითქვა ნორჩი ოსტატების მისამართით, ნახელავს უქებდნენ პატარებს.

ყველა სუვენირი გაიყიდა, შემოსავალმა 262 მანეთი და 80 კაპიკი შეადგინა. კახათელმა პიონერებმა ეს თანხა უკლებლივ გადარიცხეს ფესტივალის ფონდში.

ცნობილია, რომ პიონერ-მოსწავლეები აქტიურად ჩაებნენ აქციაში „სალუტ, მშვიდობავ!" კახათელმა პიონერებმა აქაც თქვეს თავიანთი სიტყვა. სკოლაში გამართულ მანიფესტაციაში, რომლის ლოზუნგი იყო „სამყაროს არავის ავაფეთქებინებთ!" მთელმა რაზმეულმა მიიღო მონაწილეობა. სხვადასხვა ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა პიონერებმა წრე შეკრეს და სიმღერით „დაე, მუდამ იყოს მზე" ფერხული შემოუარეს. იქვე კი, ასფალტზე, ხატვის ოსტატები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მშვიდობის თემაზე ნახატების შექმნაში. ამ კონკურსში არავინ დამარცხებულა, გიორგი ქორთუას, პაატა აქუბარდიას, გულვერ კაკულიას და სხვათა ნახატები ყველას მოეწონა.



პიონერები სათუთად უვლიან სკოლის შემოგარენს.

ნაყოფიერად მუშაობს სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი. კახათელ პიონერებს მტკიცე მეგობრობა აკავშირებს

გამოდის 1926 წლიდან
საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
პიონერი
7 ივლისი 1985
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



17.977

უკრაინის შორეული სოფლის ტალალაევსკის სკოლის პიონერებთან. ტალალაევსკელებს აინტერესებდათ, თუ როგორ ემზადებიან კახათელები XII მსოფლიო ფესტივალის შესახვედრად, რას აკეთებენ, როგორი იქნება მათი წვლილი ფესტივალის ფონდში. კახათელებმაც არ დააყოვნეს და ყველაფერი დაწვრილებით მისწერეს.

— სკოლაში სხვებთან ერთად ჩვენც, მეექვსეკლასელებსაც გვყავს ჩვენი თემურელთა რაზმი, რომელსაც „სიხარული" დავარქვით, — თქვა ნინო გეთიამ. — ვფიქრობთ, ეს სახელი ზედგამოჭრილია, რადგან, არკადი გაიდარის თემურელებისა არ იყოს, ჩვენც გვინდა მხოლოდ სიხარული მივანიჭოთ ადამიანებს.

ეს მართლაც ასეა. კახათელი თემურელები უდიდეს სიხარულს ანიჭებენ ღვაწლმოსილ პედაგოგს, ამჟამად პენსიონერს ნატალია თოლორაიას. სამოცდაათ წელს გადაცილებულმა ქალბატონმა ნატალიამ ორმოცდახუთი წელი პედაგოგიურ საქმიანობას მოახმარა. დიდ სამამულო ომს შეეწირნენ მისი ძმები, ბიძაშვილები და მამიდა. ნატაშა მასწავლებელი მარტო დარჩა. დღეს ის თემურელთა წყალობით მარტოობას არ გრძნობს, პიონერები ხშირად მიდიან მასთან, უსუფთავებენ კარ-მიდამოს, ეხმარებიან საოჯახო საქმეებში. ერთხელ, როცა თემურელებმა ყველაფერი დააწკრიალეს და მიალაგეს, შეამჩნიეს, რომ ნატაშა მასწავლებლის გამოხედვაში მწუხარებაც ჩანდა და სიხარულიც. თემურელები მორიდებით შესცქეროდნენ. ღვაწლმოსილ პედაგოგს ეს არ გამოჰპარვია, სასწრაფოდ შეიმშრალა ცრემლი და თქვა:

— ჩემი ძმები და ბიძაშვილები, ჩემს მამიდასთან ერთად, ისე როგორც სხვა მილიონობით საბჭოთა ადამიანი, დიდი სამამულო ომიდან აღარ დაბრუნებულან, ამის გახსენებამ მწუხარება მომგვარა, მაგრამ ის კი მახარებს და მაამაყებს, რომ მათ თქვენთვის და თანამედროვე ახალგაზრდობისათვის ესოდენ საჭირო უღრუბლო ცას შესწირეს თავი, დღეს რომ თქვენ მშვიდად გძინავთ, საქმიანობთ და წარმატებით სწავლობთ, ეს მათი დამსახურებაა.



ლაშა კაკულია გატაცებით ხატავს, მისი ნამუშევრები ყველას მოსწონს.

თავიანთი საზრუნავი აქვთ კახათელ წითელ კვალმაძიებლებსაც. ისინი გულმოდგინედ აგროვებენ და სწავლობენ თავიანთი სოფლის შინმოუსვლელთა ბიოგრაფიებს, მათ საბრძოლო საქმეებს. ხშირად იწვევენ დიდი სამამულო ომის ვეტერანებს და ისინიც ხალისით ღებულობენ თავიანთი ნორჩი მეგობრების მიწვევას. ვეტერანებს ძალიან მოსწონთ ემილ ნადარეიშვილის მიერ 1977 წელს სკოლაში ჩამოყალიბებული ქორეოგრაფიული და ლალი ჩიქობავას ხელმძღვანელობით დაარსებული სამუსიკო სტუდიები, რომელთა ბაზაზე შეიქმნა 150-წევრიანი თვითმოქმედი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

წითელი კვალმაძიებლების ინიციატივით და უფროსი პიონერხელმძღვანელის ნონა დარასელიას თაოსნობით განსაკუთრებული სიფაქიზით და სიყვარულით ჩატარდა შეხვედრა ომისა და შრომის ვეტერანებთან, რომელიც ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავს მიეძღვნა. პიონერ-მოსწავლეებმა ყურადღებით შეისწავლეს ბიქტორ კუდავას, ანატოლ ბიჭიას, მამია შედანიას ბიოგრაფიები, მათი საბრძოლო საქმეები და ამ მასალებზე „დიდების ალბომი" შექმნეს.

ვეტერანებთან შეხვედრაზე საპატიო სტუმართა შორის იყვნენ საქართველოს ალკკ ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი მიხეილ ქანთარია, პიონერთა სახლის დირექტორი ნუნუ ანთელავა, ნატალია მასწავლებელი და სხვები.

ტაშის გრიალში ვეტერანებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები. შეხვედრის ორგანიზატორები, — ნორჩი წითელი კვალმაძიებლები რაიკომის მდივანმა ქებით მოიხსენია და საჩუქრად წიგნები გადასცა. დასასრულს სკოლის თვითმოქმედი ანსამბლის მონაწილეობით გაიმართა დიდი კონცერტი.

## უნგრეთი

### სერიოზული თამაში

როდესაც დუისი კოვაჩის მამასთან, კეჩკემეტელ დურგალთან იმ სკოლის პიონერები მივიდნენ, სადაც მისი ბიჭი სწავლობდა, და გულდასმით დაუწყეს გამოკითხვა მის პროფესიაზე, ამან თავის მხრივ ჰკითხა:

— რატომ გადაწყვიტეთ, რომ მაინცდამაინც ჩემთან მოსულიყავით?

— ეს დავალება ჩვენ „ოქროს წერაქვმა" მოგვცა, — აუხსნეს ბავშვებმა.

„ოქროს წერაქვის" დავალებითვე მივიდნენ პიონერები პოშტი მოდორის დედასთან. მან ძალზე საინტერესოდ უამბო ბავშვებს თავისი პიონერული წლების შესახებ, — სიცილით გამოუტყდა, სახლზე რომ დარდობდა და ტირილით გაათია პირველი ღამე ჩილებერცის პიონერულ ბანაკში, სადაც ის გაგზავნეს, როგორც შეჯიბრებაში გამარჯვებული, მერე კი მალე შეეჩვია საბანაკო ცხოვრებას.

რას ნიშნავს „ოქროს წერაქვი"? წლების წინ ოქროს წერაქვი გამოსახული იყო უნგრელი პიონერების სამკერდე ნიშანზე. ახლა კი ეს თამაშის სახელწოდებაა, რომელშიც დიდებიც მონაწილეობენ და პატარებიც. „ოქროს წერაქვის" დავალებით ბავშვები ეცნობიან თავისი ქვეყნის ქალაქების, სოფლების ისტორიას, სწავლობენ ძველებურ სიმღერებსა და ცეკვებს, ეცნობიან უნგრეთის პიონერული მოძრაობის პირველ წლებს. არის შრომითი დავალებებიც. ქალაქ კეჩკემეტში 43-ე სკოლის პიონერული რაზმეულის ხუთი რგოლი ეხმარებოდა უფროსებს ახალი პიონერთა სახლის მშენებლობაში. ახლა ეს სახლი ერთ-ერთი საუკეთესო შენობაა ამ ქალაქში.

ამას წინათ „ოქროს წერაქვმა" მოსწავლეებს დაავალა გასცნობოდნენ მათი რაიონიდან არჩეულ დეპუტატს, ეთხოვნათ მისთვის ემბნა ქალაქის ხუთწლიან გეგმაზე, იმაზე, თუ რა ახალი ობიექტები აშენდება მათ რაიონში, გაეკეთებინათ ერთ-ერთი ამ ობიექტის მაკეტი და პიონერთა სახლში მიეტანათ.

მაისში შეჯამდა თამაშის შედეგები და მისი ყველაზე აქტიური მონაწილეები პიონერული ბანაკების საგზურებით და სხვა ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

# წითელი ყელსახვევების კავშირი

## საბერძნეთი

### ისინი „ნორჩი ავანგარდიდან" არიან

თანდათანობით იკრებს ძალებს საბერძნეთის ბავშვთა დემოკრატიული ორგანიზაცია „ნორჩი ავანგარდი". იგი ჩამოყალიბდა 1980 წლის შემოდგომაზე, ქვეყნის კომუნისტური ახალგაზრდობის ორგანიზაციისა და გაზეთ „ოდიგიტისის" VI ფესტივალზე.

ამჟამად „ნორჩი ავანგარდის" რიგებში ათასამდე ბავშვია. ორგანიზაციის მთავარი მიზანია ბავშვების აღზრდა მშვიდობის, მეგობრობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით. მისი აქტივისტები ენერგიულად არიან ჩაბმულნი ქვეყნის პროგრესული ძალების ბრძოლაში საყოველთაო განიარაღებისათვის.

საბერძნეთს ძნელი დრო უდგას. ეკონომიკური სიძნელეები, გადაუწყვეტელი სოციალური პრობლემები მძიმე გავლენას ახდენს ახალგაზრდობაზე, ბავშვებზე; სუსტად ვითარდება განათლების სისტემა. დაწყებით სკოლებში დღესაც 1913 წლის სასწავლო პროგრამა მოქმედებს. სკოლებს აკლია მასწავლებლები, სახელმძღვანელოები. ხშირია შემთხვევები, როცა კლასში 80 მოსწავლეა.

უმუშევრობის მაღალი პროცენტის პირობებში საწარმოთა მეპატრონეები ხალისით იღებენ სამუშაოზე მოზარდებს — მათ ხომ გაცილებით ნაკლებს უხდიან. ბევრი ბავშვი, მშობლებს რომ დაეხმაროს, ადრეულ ასაკში იწყებს მუშაობას. გაზეთი „ოდიგიტისი" იტყობინებოდა, რომ 100 ათასზე მეტი ბავშვი სკოლის ნაცვლად ქარხნებსა და ფაბრიკებში სამუშაოდ მიდის. დაახლოებით 34 ათასი ბავშვი მუშაობს მშენებლობაზე — სახიფათო ობიექტებზე. „ნორჩი ავანგარდი" აქტიურად იბრძვის იმისათვის, რომ ყველა ბავშვს ექნეს განათლების უფლება; იბრძვის ბავშვთა შრომის ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

ორგანიზაციის წევრები მოითხოვენ სამხედრო ხარჯების შემცირებას, მოუწოდებენ მთავრობას, მეტი თანხები გამოჰყონ განათლების სისტემის გასაუმჯობესებლად, სკოლების სპორტული და სათამაშო მოედნების ასაშენებლად.

ორგანიზაციას აქვს თავისი ჟურნალი: „იცნობდეთ „ნორჩ ავანგარდს". ამ ჟურნალის ფურცლებზე ბავშვები წერენ თაიანთ პოლიტიკურ საქმიანობაზე, სხვა საზოგადოებრივ მოძრაობებთან თანამშრომლობაზე, წერენ იმაზე, თუ როგორ დგამენ სპექტაკლებს, აწყობენ მუსიკალურ საღამოებს, ქმნიან მხატვრული თვითმოქმედების წრეებს.

„ნორჩი ავანგარდის" ენთუზიასტები ჩვენი ქვეყნის მეგობრები არიან. მათ საქმიანობაში დიდი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი ინიციატივების, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების სოციალურ მიღწევათა პროპაგანდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაალ ჭაბაღუა

მხატვარი
თენგიზ სამსონაძე

# შეცდომა

მოთხრობა

— ალბათ, ორმოც მანეთს. — ისე თქვა, თითქოს სალაპარაკოდ არ ღირსო.

— ვაა! — ექვსივემ პირი დავაფჩინეთ.

— მერე, შე შტერო, ლექსების ზუთხვას ის არ გირჩევნია, კვირაში ერთი-ორი ასეთი წერილი გამოაცხო? — უსაყვედურა დიპლომატმა.

მერე ერთად წავედით ჰონორარის ასაღებად და ყველანი ჩავდექით რიგში. ჩვენთვის არც იმას გაუტეხავს გული, როცა მოლარემ სამი მანეთი და ოთხმოცი კაპიკი გადმოაწოდა ჟურნალისტს. ჯიბეები გულიანად მოვიჩხრიკეთ, იმ ფულს დავუმატეთ და გემრიელად გეახელით ღვეზელები.

ერთი სიტყვით, ჩვენი „შესანიშნავი შვიდეულიდან" — ასე გვეძახიან სკოლაში — ჩემს მეტს ყველას გარკვეული აქვს თავისი ცხოვრების გზა. მე, მართალია, სწავლა არ მიჭირს, მაგრამ ჩემგან რა სარგებლობას უნდა მოელოდეს სამშობლო, ჯერ ვერ დამიდგენია...

რუთის გავხედე. მთელი გვერდი გადაუჭრელებია.

ნინომ უკვე ჩააბარა რვეული და ახლა ისე ჩუმად ზის, თითქოს არც სუნთქავსო. საათს დავხედე: ათი წუთი დამრჩენია. მეტი ფიქრი და სხვების დახასიათების დრო არ არის. ჩემს ავტოპორტრეტს თუ არ მივხედე, ფარაონი ორიანს მომაკერებს... ის იყო, წერა უნდა დამეწყო, რომ აკადემიკოსი წამოდგა, სათვალის ჩარჩოს შუაში საჩვენებელი თითი იტაკა და რვეულით ხელში მასწავლებლის მაგიდისკენ გაემართა. რვეული დადო და მასწავლებელს შეხედა, სათვალე ისევ გაისწორა. აშკარად ემჩნეოდა, რაღაცის თქმა უნდოდა.

— რა იყო, ნიკა? — გაუღიმა მასწავლებელმა.

— თუ საფუძველში ჩავხედავთ, ავტოპორტრეტის წერა სწორად არ მიმაჩნია, პატივცემულო.

— რატომ, ნიკა?

— უხერხულია, მასწ, საკუთარ თავზე ქება-დიდება წერო. არც ის მიმაჩნია სწორად, რომ მხოლოდ უარყოფითზე გაამახვილო ყურადღება.

— ნიკა, მე კი მგონია, გულახდილი უნდა იყო და ობიექტურად შეაფასო შენი თავი.

„გულახდილობა..." რაღაცნაირად მომხვდა ეს სიტყვა და სწორედ მან მიბიძგა, რა უნდა დამეწერა...

## 3

ფარაონმა საკლასო წერის რვეულები ისე დადო, თითქოს უმძიმესი ტვირთი მოიშორაო. კლასი მოლოდინში ჯერ აფუთფუთდა ბუდემოშლილი ჭიანჭველებივით, მერე თანდათან მიყუჩდა და ბოლოს გაირინდა. მასწავლებელს ეტყობოდა, ჩვენი ნამუშევრებით კმაყოფილი იყო. აქეთ გურამ გვიშიანს გაეხუმრა, იქით ჯუბის მოფერებით ყური აუწია, გაიცინა, გაგვაცინა და მერე აკადემიკოსი გაიძახა. რვეული მისცა და უთხრა, წაიკითხეო. აკადემიკოსმა თავისი სახე გაგვაცნო. ფარაონმა ახლა სხვები გაიძახა. თანდათან ნერვულობამ შემიპყრო. არაფრით არ მეგონა, თუ ჩემი ნაცოდვილარის საჯაროდ წაკითხვა მომიწევდა. ბოლოს რუთი და მე დავრჩით. მასწავლებელმა რუთის გაუწოდა რვეული. რუთის სახეზე ნელ-ნელა ვარდისფერი ეძალებოდა. წამით თითქოს შეყოვნდა, მერე ნერვულად გადაისვა თმაზე ხელი და მასწავლებელს რვეული ჩამოართვა.

„—ყოველთვის მონდომებით ვამზადებ გაკვეთილებს, — დაიწყო რუთიმ. — თავისუფალ დროს ვკითხულობ მხატვრულ ლიტერატურას, ვნახულობ სპექტაკლებს და კინოსურათებს. გალაკტიონი ჩემი კერპია. მიყვარს ოჯახში სიმშვიდე და კარგი განწყობა. ჩემი „მოხუცები" იშვიათად უბრაზდებიან ერთმანეთს. ძალიან უყვართ ერთმანეთი. მეოცე საუკუნის რომეო და ჯულიეტას ვეძახი მათ. ხშირად ვფიქრობ, ვიცხოვრებდი თუ არა ისეთ პირობებში, როგორშიც ჩემი მეზობელი გ. მ. არის. მამიმისი, როცა მთვრალია, ყველაფერს ამტვრევს და მოსაკლავად დასდევს ცოლ-შვილს. მე, ალბათ, თავს მოვიკლავდი, მამამ ასეთი შეურაცხყოფა რომ მიაყენოს ოჯახს. რაც შეეხება გ. მ.-ს დედას, მეზიზღება, რადგან თავმოყვარეობა არა აქვს. ისეთ ქმართან, როგორიც მისი მეუღლეა, ერთ დღეს აღარ ვიცხოვრებდი. დედა არ მუშაობს და მე და მამას თავს დაგვკანკალებს. მამა ციტრუსოვანთა დაავადების მკურნალობის მეთოდებზე მუშაობს და ახალი სამკურნალო პრეპარატი გამოიგონა. ეს მისი სადოქტორო დისერტაციაა. ბევრს ვფიქრობ ჩემს მომავალ პროფესიაზე. მინდა მხატვარი გამოვიდე. მამამ ჩემი ნამუშევრები რამდენიმე ცნობილ მხატვარს ანახა. ამბობენ, საიმედო მონაცემები აქვსო. მე კი ჩემში განსაკუთრებულს ვერაფერს ვერ ვგრძნობ და ეს მაშინებს... მინდა მუსიკალურ სკოლას თავი დავანებო, მამაც მიჭერს მხარს, მაგრამ დედაჩემი ისე განიცდის, როგორც დიდ უბედურებას. ძალიან მიყვარს თეატრი. კარგი სპექტაკლი რამდენჯერმე შემიძლია ვნახო. მაგალითად, „რიჩარდ მესამე" თოთხმეტჯერ ვნახე, „კავკასიური ცარცის წრე" — თორმეტჯერ, „ფიროსმანი" — ათჯერ. ვაფასებ ბიჭებთან მეგობრობას". — რუთი გაჩუმდა. რვეული მერხზე დადო და სახეაფაკლულმა მასწავლებელს შეავლო მზერა. წამით დუმილი ჩამოვარდა.

— კარგია! — ისე თქვა ფარაონმა, თითქოს პირველად გაიგოო, რა დაეწერა რუთის. — დაჯექი, რუთი. გოგოძე!

გაგრძელება. იხ. „პიონერი" № 6.

ავდექი და ვთქვი:

— პატივცემულო, არ ღირს მაგის წაკითხვა.

— რატომ?! — გაიკვირვა ფარაონმა.

— არ დამიმთავრებია, მასწ...,

— რაც არის, ის წაგვიკითხე!

„— გულახდილად რომ ვთქვა, საკუთარი თავის ბევრი რამ არ გამეგება, — დავიწყე კითხვა. — ადრე თითქოს ვიცოდი, რას წარმოვადგენდი. ყველაფერი ნათელი, იოლი და გამჭვირვალე მეჩვენებოდა. არც სხვებთან ურთიერთობა წარმოადგენდა სირთულეს. ახლა კი ჩემი თავი ნისლით გადაბურულ უფსკრულს მაგონებს, ერთი შეხედვით რომ გეჩვენება — მის ქვეშ მყარი მიწაა, მაგრამ ნელ-ნელა იფანტება ნისლი და თანდათან ჩნდება თვალჩაუწვდენელი, თავბრუდამხვევი სიღრმე. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჩემში ვიღაც მეორე, უცნობი „მე“ ცხოვრობს. იგი ჰორიზონტის ხაზთან მდგომ ადამიანს მაგონებს: ხედავ სილუეტს, მაგრამ ვერ ცნობ, ვინ არის. მიდიხარ მისკენ, უახლოვდები, სილუეტი თანდათან მკვეთრდება, მაგრამ, რომ იცნო, სამაგისოდ ჯერ ისევ შორსაა. ერთი სიტყვით, ასეთ რამეს ვგრძნობ, მაგრამ კარგად ვერ გამომითქვამს... მასწავლებლები და მშობლები ჩვენგან გულახდილობას მოითხოვენ. ახლაც ავთანდილ მასწავლებელმა ჩვენს აკადემიკოსს უთხრა, გულახდილი უნდა იყოო. ეს კი ძალიან ძნელია. ადრე, თუნდაც ერთი წლის წინათ, ეს შესაძლებლად მიმაჩნდა... ახლა საკუთარ თავსაც კი ვერ ვუმხელ ყველაფერს. რომ მკითხონ, რა არის ეს „ყველაფერი“, ვერც ამაზე გიპასუხებთ. თვითონ უფროსები კი გულახდილნი არიან?“ — დავამთავრე და ამოვისუნთქე. რვეული მერხზე დავდე და გაოფლილი ხელისგულები შარვალზე შევიმშრალე. ჩამოვარდნილი სიჩუმე აკადემიკოსმა დაარღვია:

— ლევ, გენიალურია! — ნიკმა სათვალის ჩარჩოს შუაში საჩვენებელი თითი იტაკა. — ჩვენი ნაწერები, საფუძველში, უდაბნოს პეიზაჟივით ერთნაირია. შენ მართალი ხარ, გულახდილობა ძალიან ძნელია.

— ლევი მართალია. მე რომ ყოველთვის გულახდილი ვიყო, მამაჩემი ამდენ ხანს ჩემგან საკატლეტე ხორცს დაამზადებდა! — თქვა გია ცომაიამ.

— გულახდილი არავინ არ არის! — ისე გადაჭრით თქვა გურამ ნოზაძემ, თითქოს მთელი ცხოვრება ამაზე ფიქრობდა.

ერთი სიტყვით, კლასმა ენის მოსაქავებელი საბაბი იშოვა და რას არ გამოიყენებდა? ფარაონი შემწყნარებლური ღიმილით გვისმენდა. ვისაც უნდოდა, ყველამ გამოთქვა საკუთარი მოსაზრება. ბოლოს ფარაონმა თქვა:

— ლევანის თხზულება მეც მომეწონა. მართალია, რომ გულახდილობა არ არის იოლი, მაგრამ არც ისე შეუძლებელია, როგორც ზოგიერთებს გგონიათ. ახლა კი მოგილოცავთ ზაფხულის არდადეგების დადგომას. წინ საინტერესო ზაფხული გველის. ჩვენი კლასი ერთთვიან პრაქტიკას გაივლის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში.

— ვაშაა! — გაისმა შეძახილები. ფეხზე წამოვცვივდით. ატყდა ყაყანი. ფარაონს ვუმტკიცებდით, რომ ქარხანას ხვალიდან არაფერი გაუჭირდებოდა. ყოველ შემთხვევაში, თუ წლის არა, ერთი თვის გეგმის შესრულება გარანტირებული ჰქონდა.

— თქვენი იმედი მაქვს! — თქვა ფარაონმა. — მე ექვსი წელია, თქვენს კლასს ვხელმძღვანელობ. გვიყვარს და პატივს ვცემთ ერთმანეთს — ასე ვფიქრობ და, თუ იმედი გამიცრუვდა, მაშინ ეს ჩემთვის ძალიან საწყენი იქნება.

— არ გაწყენინებთ, მასწ!

— მჯერა! — ორივე ხელი ასწია ფარაონმა. — ამაში დარწმუნებული რომ არ ვიყო, უარს ვიტყოდი თქვენს ხელმძღვანელობაზე. ახლა შეგიძლიათ სახლებში წახვიდეთ. ხვალ კი რვა საათზე ქარხნის შესასვლელთან შევიკრიბებით...

4

მწვრთნელმა კარგად შემახურა ამასწინანდელი ვარჯიშის გაცდენისათვის. რა მეთქმოდა. ცამდე მართალი იყო და ბოდიში მოვუხადე. გასახდელში შევედი, ნაკრების სამ წევრს ვარჯიში დაემთავრებინა და იცვამდნენ. ბიჭებს უხალისოდ მივესალმე.

— რაო, ლევან, შეგაჭანჭყარეს? — გაიღიმა ოთარ ცერცვაძემ და დაკუნთულ, ჩამოსხმულ ტანზე პერანგი გადაიცვა.

—ყურები ხომ არ აგიწია, ბიჭო? — გაიცინა რევაზ ნათაძემ.

—მე რომ ვიყო, ყურებს ავახევდი, — თქვა გოჩამ. — კაცს ამის იმედი აქვს, ეს კიდევ ისე დასეირნობს, თითქოს ნუცას სკოლაში იყოს.

მე არაფერი მითქვამს. უსიტყვოდ შევუდექი გახდას.

— მწვრთნელი მართალია, ლევან. სხვანაირად არ გამოვა. ერთი დღის გაცდენას სამი ვარჯიშით ველარ აღიდგენ. ეს უნდა გახსოვდეს, — თქვა ოთარმა და ჯინსის შარვალში ფეხი გაუყარა.

საშხაპეში წყალი გადავივლე და აუზში გავედი. მწვრთნელი იქ მელოდა. შემომხედა, წამმზომი ჩართო და მითხრა:

— დაიწყე!

ვარჯიშს მონდომებით, საგულდაგულოდ შევუდექი. ბოლოს, აუზიდან რომ ამოვედი, შევამჩნიე, მწვრთნელი კმაყოფილი იყო. თვითონაც არ დაუმალავს.

— დროს არა უშავს. მაგრამ ისევ და ისევ მოსახვევის აღება გვიჭირს. ამიტომ ამაზე განსაკუთრებით უნდა ვივარჯიშოთ... კარგი ბიჭი ხარ! — თვალი ჩამიკრა და გამიღიმა.

შინისკენ ფრთებშესხმული წამოვედი. რაღაც ძალიან მიხაროდა. თავს მსუბუქად და ლაღად ვგრძნობდი. კიბე ავირბინე და ზარიდან ერთხანს არ ამიღია თითი.

— რა მოგივიდა, ხომ არ გაგიჟდი?! — კარი თაცომ გამიღო და შემომიტია.

— ციც! — ცხვირზე თითი მივაჭირე და ხმაურით შევვარდი სახლში. — დედა სადაა?

ანაზდად მზერა ვიგრძენი. მამა ჰოლში იდგა და თი-

თებში სიგარეტი უხრჩოლავდა. სახეზე ფერის ნასახი არ ედო. თვალები ჩალურჯებოდა და თითქოს ჩაცვენოდა. ძალიან დაღლილი ჩანდა. მივხვდი, რომ დამარცხებული იყო. ასე ამბობს ხოლმე, როცა ოპერაცია იმედის მომცემი არ არის. სპორტული ჩანთა საკიდზე ჩამოვკიდე და მამისკენ გავემართე.

— მომილოცავს მეათე კლასში გადასვლა! — მხარზე ხელი მომხვია მამამ. — ახლა რა გეგმები გაქვს?

— ხვალიდან ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში ერთთვიანი პრაქტიკა გვეწყება.

— ძალიან კარგი, მუშაობა ბევრ რამეში გაგარკვევს, — თქვა მამამ და სიგარეტი საფერფლეში ჩაფერფლა.

— მოხვედი, შვილო? — დედა სააბაზანოდან გამოვიდა, სველი ხელები წინსაფარზე შეიხოცა. — სკოლაში ვიყავი. თამარს მშობლების კრება ჰქონდა და ავთანდილ მასწავლებელიც ვნახე. ყველა საგანში ფრიადები გქონია. — დედა მოვიდა და მაკოცა.

— კარგი, გულს ნუ ამიჩვილებ, თორემ ავღრიალდები.

— დიდი ამბავი, ფრიადები მეც მაქვს! — გაიჭყანა თამარი.

— ფრიადები, თორემ შენც ოც საგანს არ სწავლობდე. სამ საგანში გინდა გქონია ფრიადი და გინდ არა, — ხაზი გადაავუსვი მის შრომას.

— არაფერიც, სამ საგანს კი არა, რვა საგანს ვსწავლობ! — გაწიწმატდა.

მამა თავისი ოთახისაკენ წავიდა, მე სააბაზანოში შევედი, ხელ-პირი დავიბანე, თმა გადავივარცხნე და ჩემს გამოსახულებას სარკეში დავეჭყანე. სამზარეულოში შევედი. დედას კერძები გაეცხელებინა და ახლა უზარმაზარ მათლაფაზე წვნიანს მიღებდა.

— პირველი არ მინდა! — ვთქვი და ტოლმის გადმოსაღებად თეფშს წავეტანე.

— არ გინდა არ ვიცი, საჭიროა და უნდა ჭამო! — ისეთი კილოთი მითხრა, მივხვდი, ერთ ვაი-უშველებელს ატეხდა და გუნების გაფუჭებას ვარჩიე ბედს შევრიგებოდი.



— მამას რა მოუვიდა? — ვკითხე და მათლაფა ჩემკენ მოვსწიე.

— ცხრამეტი წლის ქალიშვილისათვის გაუკეთებია ოპერაცია და, რომ გაუჭრია, აღმოჩენილა, სიმსივნე მთელ სხეულს ჰქონია მოდებული. უბედური მისი დედმამა. — დედას თვალები ცრემლით აევსო. — დიდი-დიდი, ექვსი თვე იცოცხლოსო. ანგელოზივით გოგო ყოფილა ის საცოდავი...

მამაჩემი ონკოლოგიურ საავადმყოფოში მუშაობს ქირურგად. ამბობენ, კარგი სპეციალისტიაო. ოცდათხუთმეტი წლისამ დაიცვა სადოქტორო მოსკოვში. ახლა ოცდათვრამეტი წლისაა, მაგრამ, როცა ფორმაშია, საცოლე ბიჭივით გამოიყურება. მართალია, ამ ბოლო დროს თმამ გაუჭირა საქმე, სულ გაჭაღარავდა, თუმცა ესეც უხდება.

— მეც ქირურგი უნდა გავხდე! — ვთქვი მოულოდნელად, მაგრამ გადაჭრით.

— მამაშენის საცოდაობამ მომინელა, ახლა შენისაც მაყურებინე!

— რატომ იმას არ ხედავ, როცა გახარებულია და ამბობს, ბრძოლა მოვიგეო. უფრო ხშირად ხომ ასეა. ათასში ერთხელ, რას იზამ, დამარცხდები. სიკვდილთან ბრძოლა იოლი როდია! — მამაჩემის სიტყვები გამოვიყენე.

— შენგან რა ქირურგი დადგება, როცა ყველაფერზე გული მიგდის! — მიკბინა ჩემმა დამ და თმა მოხდენილად გადაიყარა მხრებზე. საოცრად მომინდა, მოვფერებოდი.

— მოდი, ყურში რაღაცას გეტყვი.

ისეთი თვალით შემომხედა, რომ ამბობდა, შენ ვერ მომატყუებო.

— თაცოს გეფიცები, არ გიპწკენ.

მოვიდა და ახლოს დამიდგა.

— მომილოცავს მეხუთე კლასში გადასვლა! — ყელზე ვაკოცე. თვითონაც მაკოცა. — პრაქტიკის ფულს რომ ავიღებ, უეჭველად თოჯინას გიყიდი. — თოჯინებზე ჭკუას კარგავს.

— ლევ, იცი ვინ დაგირეკა? — დაითაფლა და მკერდზე მომეკრა. მერე დედას შეხედა და გაჩუმდა. მაშინღა მითხრა, როცა დედა სამზარეულოდან გავიდა: — რუთიმ დაგირეკა. რომ მოვა, აუცილებლად დამირეკოსო. გინდა ახლავე დავურეკავ, კარგი, ლევ?

— მერე დავურეკოთ.

— ლევ, ხომ კარგი გოგოა რუთი?

— კი, კარგი გოგოა.

— მეც ასე ვფიქრობ. ძალიან მომწონს და მიყვარს. უჩემოდ ბუფეტში არასოდეს არ ჩადის. ლევ, როცა ბიჭი ხშირად გირეკავს, იმას რა უნდა უყო? — უაღრესად სერიოზულად მკითხა.

— გააჩნია, რას გეუბნება, — სიცილს ძლივს ვიკავებდი.

—არაფერს. დამირეკავს და მეტყვის, რომ დღეს ვიღაცას უცხოური საშლელი ახალ საფოსტო მარკაში გაუცვალა და მე ხომ არ მინდა. ან თავის ძაღლზე მიყვება. გამიწყალა გული. ერთი პატარა ძაღლი ჰყავს. იცი, მართლაც კარგი ძაღლია. ჯიმი ჰქვია. ისე უყვარს, გიჟდება. ამას წინათ დამირეკა და მითხრა გაჩუქებო. უარი ვუთხარი. ძალიან სასაცილო ბიჭია. შენც რომ ნახო, სიცილით მოკვდები.

— მე კი მგონია, რომ ვნახო, მომეწონება, იმიტომ რომ კარგი ბიჭი ჩანს. აბა, როგორია, თავისი საყვარელი ძაღლიც კი ემეტება შენთვის. იმ ბიჭს გია ხომ არ ჰქვია?

— კი, — ლოყები აეფაკლა თაცოს.

ვისადილე, მაგნიტოფონი ჩავრთე და ტანისამოსის გახდას შევუდექი. როგორც იქნა, დადგა ნანატრი დღე — გავიხადო სკოლის ფორმა. ამ ლურჯ ტომარაში გული მიწუხს, მაგრამ ვინ მიწევს ანგარიშს. გავიხადე და გარდერობის ყველაზე შორეულ კუთხეში დავკიდე.

— ლევან, დაუწიე ამ ოხერს, გასკდა თავი! — კარი შემოაღო დედამ.

— ა, ბატონო, ამაზე გაწყენინებ? სულაც ჩავაკმენდინებ ხმას! — ვთქვი და „სდექს" თითი დავაჭირე. — კმაყოფილი ხართ, ქალბატონო მარიამ?

— სად მიდიხარ?

— აკადემიკოსთან. იცოდე, ამ საღამოს არ მოვალ.

— ლევან, რა თქვი?!

— დაწყნარდი, მარი. ჭკვიანად წავალ და არ დავიგვიანებ, — ვთქვი და ლოყაზე ვაკოცე. — „შენი მოხუცი" მომიკითხე და გადაეცი, ამდენი მუშაობა ჯანმრთელობისათვის მავნებელია-თქო. ჩაო!..

5

მაისის თბილი, წყნარი საღამო იყო. აკადემიკოსის სახლამდე ფეხით მივედი. ღია ფანჯრიდან „აბბას" სიმღერა იღვრებოდა. „დიპლომატი მოსულა", გავიფიქრე. მისი საყვარელი ანსამბლია. საერთოდ, ბლერომ ყველა საზღვარგარეთული ანსამბლი იცის: „კისები", „კვინები", „აბბა", „ბონი მ", „ჩინგისხანი", „ბითლზი". მე კიდევ ამაში ბევრს ვერაფერს ვერკვევი. სიმართლე გითხრათ, „რუსთავის" სიმღერები ყველაფერს მირჩევნია. ბლეროს ეს რომ ვუთხრა, ქაჯს დამიძახებს, მაგრამ ჰამლეტ გონაშვილი სიმღერას რომ დაიწყებს, სულ ჟრუანტელი მივლის. ერთი სიტყვით, მესამე სართულზე ავირბინე და ზარი ჩვენი პაროლით დავრეკე: ერთი გაბმული, ორი წყვეტილი. შვიდივე ასე ვრეკავთ ერთმანეთთან. კარი დიპლომატმა გამიღო.

— ოო, მილორდ, მობრძანდით! — წამოიძახა მან და თავი თეატრალური ჟესტით მდაბლად დახარა. — ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ ჩვენი ბრწყინვალე საზოგადოება!

— მე კიდევ წინადადება შემომაქვს: ვინა ხართ გასეირნების მომხრე? — თქვა ჩიგომ.

წინადადება ერთხმად მიღებულ იქნა და ბინიდან ხმაურით გამოვცვივდით.

აკადემიკოსმა სამყაროს უსასრულობაზე ჩამოგვიგდო სიტყვა.

— ჩვენ მალე მოგვიწევს შეხვედრა გარე ცივილიზაციასთან. — თქვა ნიკამ.




— სისულელეა, არავითარი გარე ცივილიზაცია არ არსებობს! — წყალი გადაუწურა ბიბიმ. — დღეს ჩვენ ვიცით, რომ მზის სისტემაში ერთადერთი ცოცხალი პლანეტა დედამიწაა.

— მზის სისტემაში შეიძლება ასე იყოს, მაგრამ ეს ხომ ზღვაში წვეთია. ვინ მოსთვლის, რამდენი ასეთი გალაქტიკაა სამყაროში! — უკან არ დაიხია აკადემიკოსმა. — იმ გალაქტიკებში რამდენი დედამიწაა, ვინ იცის.

უცებ ვიღაცამ ხელმკლავი გამიკეთა. მივიხედე. ნოდარი შემრჩა.

— ლევან, ტო, ერთი წუთით საქმე მაქვს შენთან! — მითხრა ხმადაბლა და განზე გამიყვანა.

„ალბათ ისევ ფულს მთხოვს", გავიფიქრე. ჩვენს უკან, ცოტა მოშორებით, ვიღაც მაღალი ბიჭი იდგა და ჩვენ გვიყურებდა. ეტყობოდა, ნოდარს უცდიდა.

— ლევან, აი, შენი თერთმეტი მანეთი, — თქვა და ფული გამომიწოდა. — დიდი მადლობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკვირვებისაგან პირი დავაღე. თან მადლობაც რომ გადამიხადა!

— იქნებ გჭირდება და გქონდეს!

— არა, ტო, არ მინდა. მე ახლა ერთი სათხოვარი მაქვს შენთან.

მხრები ავიჩეჩე და ვუთხარი:

— შენი ხმალი და ჩემი კისერი.

— მანქანის ფულს ვაგროვებ, მაგრამ არ მინდა, დედაჩემმა იცოდეს. ხომ იცი, რა ქალია! საიდან იშოვე, როგორ? გულს გამიწყალებს. ამიტომ, თუ ჩემი ძმა ხარ, შენ შემინახე, ერთი სამი თვე, ეს ორასი მანეთი. კიდევ დავუმატებ და მერე ერთად შევიტან სალაროში. მაგრამ არავის უთხრა. მოდის?

— დარდი ნუ გაქვს, სამარე ვარ! — დავამშვიდე.

ფული ჯიბეში ჩავიდე და ბიჭებს წამოვეწიე. ისინი კვლავ გარე ცივილიზაციაზე კამათობდნენ. მე კი საოცრად მომინდა რუთისთან საუბარი. ჯიბეში ორკაპიკიანი მოვიძიე და ტელეფონის ჯიხურში შევედი. ნომერი ავკრიფე. ვიგრძენი, სახე წამომისურდა და ყურებში ხმაური ჩამიდგა. ყურმილი მაშინვე აიღეს.

— ალო! — ვთქვი და შევეცადე, დავწყნარებულიყავი.

— ბატონო. — გაისმა ქალის სასიამოვნო, წყნარი ხმა. ვიცანი, რუთის დედა იყო.

— უკაცრავად, თუ არ შეწუხდებით, რუთის სთხოვეთ! — რაც შეიძლებოდა თავაზიანად ვუთხარი. თან შევეცადე, ენა არ ამრეოდა.

— ლევანი ხარ, შვილო?

— დიახ, დეიდა ნინო. გამარჯობათ, როგორ ბრძანდებით? — ამას ვერიდებოდი და მაინც არ ამცდა.

— გაგიმარჯოს, შვილო. არა მიშავს. თქვენები ხომ კარგად არიან?

— კარგად.

— თამარი როგორაა, ისევ ისეთი ლამაზია?

— ჰმ, რა ვიცი, როგორიც იყო, ისევ ისეთია.

— რატომ ჩვენთან არ მოდიხარ? გამოიარე, შვილო. — ყურმილი, ეტყობოდა, გვერდზე დადო, რადგან მისი ხმა შორიდან ჩამესმოდა. — რუთი, შვილო, ლევანია ტელეფონთან.

— ლევ, როგორა ხარ? გითხრა თაცომ, რომ დაგირეკე?

— კი. რა იყო?

— შენი კლანით ზეგ უნდა მესტუმრო, შეგიძლია?

— გააჩნია მიზეზს. თუ ძალიან საპატიოა, მაშინ რა გაეწყობა, მოვალ!

— მაინც რას გულისხმობ საპატიო მიზეზში?!

— აი, თუნდაც შენი დაბადების დღეს, რომელიც 29 მაისსაა. იქამდე კი ჯერ საკმაოდ შორსაა.

— მაშინ ბიჭებს მე არ ვეტყვი, შევთანხმდით?

— შემიძლია ეგ სამსახური დაუმადლებლად გაგიწიო.

— ლევ, თაცოს აუცილებლად მოიყვანე!

— არა, იქნებ მარიამი და დავითიც წამოვიყვანო, ა?

— ჯერ ერთი, ნუ ღრიალებ, ლამის ყური გამისკდეს;

მეორეც, ჩემი დაბადების დღეზე ის უნდა იყოს, ვინც მე მინდა. შენ თუ არ მოიყვან, მაშინ მე წამოვიყვან!

— თუ ასეთი მნიშვნელოვანი პერსონაა, რა მეთქმის, კი, ბატონო. ჩაო!

— ჩაო! ხვალ არ დაიგვიანო.

ჯიხურიდან გამოვედი. ბიჭები იქვე შორიახლოს იდგნენ და ახლა ფეხბურთზე გაცხარებით დავობდნენ.

— ბიჭებო, ზეგ ექვს საათზე ყველა რუთისთან უნდა ვიყოთ! ამის ორგანიზაცია მე დამევალა და მთელი თავით პასუხს ვაგებ. გასაგებია?

— რატომ? — იკითხა დიპლომატმა და პასუხს არ დაუცადა: — ჰო, გამახსენდა, ზეგ ხომ 29 მაისია.

— რა ვუყიდოთ? — სათვალე გაისწორა აკადემიკოსმა და თვალი შეგვავლო.

— გააჩნია, რამდენს დავდებთ ფულს, — თქვა გამომძიებელმა. — ჩემი აზრით, ათ-ათი მანეთი გვეყოფა.

— ხვალ გადავწყვიტოთ, — თქვა აკადემიკოსმა და ქუჩის საათს შეხედა. — ათი შესრულდა. დილით ადრე ვართ ასადგომი, დავიშალოთ! ჩაო!

— ჩაო! — გაისმა ერთხმად.

6

ავტობუსებისა და ტროლეიბუსების გაჩერება ჩვენი სახლიდან ასი მეტრით იქნება დაშორებული. ჯერ სახლს უნდა ჩაუარო და მერე უკან მობრუნდე. ჩვენ სახლს რომ ჩავუარე, ავტობუსიდან შევნიშნე, ნოდარი სახლის წინ იდგა და სიგარეტს ეწეოდა.

— აქამდე არ მოსულხარ, ტო? — მკითხა, როცა მივუახლოვდი.

— ელოდები ვინმეს? — კითხვას კითხვითვე ვუპასუხე.

— ძმაკაცი უნდა მოსულიყო, მაგრამ ეტყობა, ვერ მოიცალა! წამო, ტო, სიგარეტი მაყიდვინე.

გასტრონომი ჩვენი სახლიდან ორ ნაბიჯზეა, ამიტომ უარი არ მითქვამს.

— შედი და იყიდე! — ვუთხარი, როცა გასტრონომთან მივედით.

ნოდარი მალე გამობრუნდა. ხელში „კოსმოსი“ ეჭირა. გახსნა და გამომიწოდა.

— არ ვეწევი.

— მაგას რა ჯობია, ტო. იცი, რა მაყუთი მეხარჯება მაგაზე? ზოგჯერ დღეში ორი კოლოფი არ მყოფნის. მაშ! დედაჩემს რომ არ ვპარავდე, არ ვიცი, რა მეშველებოდა.

— კარგად იყავი!

— კარგად, ტო.

ჩვენი სადარბაზოსკენ გადავუხვიე. ნოდარმა კი გზა განაგრძო. შორიდან შევნიშნე, სადარბაზოში ნათურა გადამწვარიყო და ისე ბნელოდა, თვალებთან თითს ვერ მიიტანდი. ზღურბლს გადავაბიჯე თუ არა, აქეთ-იქიდან ვიღაცები დამეძგერნენ და გამქაჩეს. ერთმა დანა ყელზე მომაბჯინა და ხმადაბლა წაისისინა:

— ფული, თორემ გაგათავე!

მეორემ ჯიბეებში ხელი ჩამიყო და მერე წაიჩურჩულა:

— გაუშვი! — და უცებ ისე მაგრად მიბიძგა, რომ კიბეს მივასკდი და ზედ მუხლებით დავეცი.

ერთ ხანს არ გავნძრეულვარ. მარცხენა მუხლის ტკივილმა ლამის სული შემიგუბა. კიბეზე ჩამოვჯექი და მუხლის ზელვა დავიწყე. უცებ მომაგონდა, რომ შარვლის ჯიბეში ნოდარის ორასი მანეთი მედო. წამოვვარდი და... ორივე ჯიბე ცარიელი მქონდა. მერე პერანგის ჯიბეში ჩავიყავი ხელი. ჩემი თერთმეტი მანეთი ისევ ისე მედო. ელდანაკრავი გამოვვარდი გარეთ. ახლომახლო კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ნოდარის ბინისკენ გავიქეცი. ზარის ხმაზე დედამისმა გამოიხედა. თითებში სიგარეტი უბოლავდა.

— უკაცრავად, ნოდარს სთხოვეთ.

— ნოდარი ჯერ არ მოსულა, გენაცვალე. რა იყო, ლევან?

— არაფერი. ნოდარი მინდოდა. ხვალ ვნახავ. ბოდიში, — ვთქვი და გამოვბრუნდი.

გაოგნებული ვიყავი. „ნოდარი სად წავიდა?!“ გავიფიქრე და ჩვენს კიბეს კოჭლობით ავუყევი. კარი დედაჩემმა გამიღო.

— რა იყო, ლევან, იჩხუბე?

— ვისთან ვიჩხუბებდი! — აღრენილად ვუთხარი. — სადარბაზოში შუქი არ ანთია, კიბეზე დავეცი და კინაღამ მუხლი გავიტეხე...

ხელის შეხებამ გამომაღვიძა. საწოლთან დედა იდგა.

— ადექი, შვილო, თორემ დაგაგვიანდება. უკვე რვის ათი წუთია!

ავდექი და მუხლის ტკივილმა წუხანდელი ამბავი გამახსენა. „რა ეშმაკმა მოაცემინა ჩემთვის ის ფული?! — გავიფიქრე. — როგორ გინდა, გადაიხადო ამდენი ფული? რა მეშველება?“ ჩავიცვი, ხელ-პირი დავიბანე და ლოჯიაში გავედი. მამაჩემი უკვე სუფრასთან იჯდა, მივესალმე და მეც სუფრას მივუჯექი.

— როგორია შენი სამუშაო განწყობა? — მკითხა მამამ.

— კარგი.

— დღეს კალმის დაჭერა კი არა, მუშაობა მოგიწევს, ამიტომ კარგად უნდა ისაუზმო.

შევნიშნე, დედა რაღაც-რაღაცებს საგულდაგულოდ ახვევდა და ცელოფანის პარკში აწყობდა.

— მე არაფერს წავიღებ! — განვაცხადე კატეგორიულად.

მშობლებმა ერთმანეთს გადახედეს. მერე მამაჩემმა თქვა:

— მანეთიანი მიეცი და იქ ისადილებს.

— არ მინდა, მე მაქვს ფული.

დედამ უკმაყოფილოდ გადაიქნია თავი, მაგრამ არაფერი უთქვამს. ჰაიჰარად ვისაუზმე და გარეთ გამოვვარდი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში




# 60 წლისაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1924 წლის 1 ოქტომბერს ქართველ ბავშვებს ნანატრი დღე გაუთენდათ — გამოვიდა „ახალგაზრდა პიონერი“, პირველი პიონერული გაზეთი საქართველოში. მისი რედაქტორი, აწ განსვენებული შალვა რადიანი ასე იგონებდა იმ დღეს: „...გაზეთი უფასოდ უნდა დაგვერიგებინა სკოლებში, რედაქციაში კი ორი კაცი ვმუშაობდით, მე და პასუხისმგებელი მდივანი. რასაკვირველია, ყველა სკოლაში მიტანა ერთდროულად არ მოხერხდა. ქალაქში კი გაზეთის გამოსვლის ამბავი სწრაფად გავრცელებულიყო და შუადღე არც კი იქნებოდა, სტამბის შენობას პიონერთა დიდი ჯგუფი მოადგა. ერთმა გვისაყვედურა, რატომ დაგვტოვეთ უგაზეთოდო. როცა გაიგო მიზეზი, უცბად შემოტრიალდა, ამხანაგებს დაუძახა და დახმარება შემოგვთავაზა. პიონერებმა დარჩენილი გაზეთები სწრაფად ჩამოარიგეს სკოლებში“.

1925 წლის 6 ივნისიდან გაზეთმა „ნორჩი ლენინელის“ სახელწოდებით იწყო გამოსვლა და ორკვირეულის ნაცვლად ყოველკვირეული გახდა.

1926 წლის ბოლოს გაზეთის გამოსვლა დროებით შეწყდა. მისი ბოლო ნომერი იუწყებოდა: „დღეს გამოდის „ნორჩი ლენინელის“ უკანასკნელი ნომერი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პიონერებს არ ექნებათ თავიანთი ორგანო. ჟურნალი „წითელი სხივი“ გამოვა „პიონერის“ სახელწოდებით, რომელიც ფართოდ გააშუქებს ჩვენი რესპუბლიკის პიონერთა ცხოვრებას“.

1931 წელს განახლდა „ნორჩი ლენინელის“ გამოცემა და იგი კვლავ ჩაება საქართველოს პიონერიის მჩქეფარე ცხოვრებაში. ამ დროისათვის მთელ ჩვენს ქვეყანაში გრანდიოზული მასშტაბის ძვრები და გარდატეხები ხდებოდა: საკოლმეურნეო მოძრაობა კიდით კიდე ფრთებს შლიდა, სწრაფი ტემპით ვითარდებოდა ინდუსტრია, წარმატებით მიმდინარეობდა კულტურული რევოლუცია... ახალი, ნათელი ცხოვრების შენებაში უდიდესი ენთუზიაზმით მონაწილეობდნენ პიონერ-მოსწავლეებიც. ასეთ ვითარებაში „ნორჩი ლენინელი“ დიდ ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდა — რაზმავდა და მოქმედების გეზს აძლევდა პიონერულ რაზმეულებს. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ 1936 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დიდი ზეიმით აღინიშნა მისი იუბილე. „არა თუ ნორჩი ლენინელები, არამედ მეც სიამოვნებით ვკითხულობ „ნორჩ ლენინელს“, — წერდა 1941 წლის 19 ივნისს, გაზეთის 10 წლისთავთან დაკავშირებით, გამოჩენილი რევოლუციონერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე. — მაინტერესებს, თუ რა გონებრივ საზრდოს აწვდის ის თავის ნორჩ მკითხველებს, როგორ ასახავს საბჭოთა რესპუბლიკის საქმიანობას და მზრუნველობას ადამიანებზე, განსაკუთრებით ბავშვებზე. „ნორჩი ლენინელის“ დანიშნულებაა დაეხმაროს ნორჩ მკითხველებს, რომ ისინი საუკეთესოდ სწავლობდნენ, უყვარდეთ სკოლა და სკოლასთან ერთად თავისი აღმზრდელები და მასწავლებლები, გახდნენ შეგნებული პატრიოტები და კომუნიზმის ნამდვილი მშენებლები“. ამ დანიშნულებას „ნორჩი ლენინელი“ პირნათლად ამართლებდა.

მერე დიდი სამამულო ომი დაიწყო. რედაქცია თითქმის დაცარიელდა — თანამშრომელმა მამაკაცებმა ბრძოლის ფრონტს მიაშურეს. „ნორჩი ლენინელის“ გამოცემაც შეწყდა. 1946 წლის 20 ივნისიდან კი გაზეთმა ისევ დაიწყო გამოსვლა. ქვეყანა ის-ის იყო იწყებდა ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებას, სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას. შემდეგ დაიწყო საბჭოთა ხალხის თავდადებული ბრძოლა ხუთწლედების სახელოვნად დაგვირგვინებისათვის... საქართველოს პიონერთა გაზეთიც დაუღალავად რაზმავდა ნორჩ თაობას რესპუბლიკის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრაში აქტიური მონაწილეობისათვის. არ წამოწყებულა ჩვენს ქვეყანაში რაიმე მნიშვნელოვანი თაოსნობა, მოძრაობა, რომ გაზეთს თავისი სიტყვა არ ეთქვას, თავისებურად არ დაემუხტოს ყმაწვილების გული და გონება სამშობლოსათვის საჭირო საქმეში თავიანთი წვლილის შესატანად.

თავად „ნორჩი ლენინელი“ არაერთი და ორი ფრიად სასარგებლო საქმის, აქციისა თუ ოპერაციის თაოსანია. გავიხსენოთ ზოგი მათგანი.

„ნორჩმა ლენინელმა“ ლენინგრადის, აზერბაიჯანისა და სომხეთის პიონერულ გაზეთებთან ერთად გამართა სამეცნიერო-სამხარეთმცოდნეო თამაში „არაჩვეულებრივი მოგზაურობა“. ამ მოგზაურობის დროს ჩვენი რესპუბლიკის ათასობით პიონერმა და მოსწავლემ 500-ზე მეტი ლაშქრობა მოაწყო. მათ შეისწავლეს ბევრი ისტორიული ძეგლი, მდინარე, შეადგინეს ჰერბარიუმები, მინერალებისა და მწერების კოლექციები, მოკრიფეს 100 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი, მოუარეს ასობით ჰექტარ ყანას, ვენახს, ბოსტანს, მოაგროვეს დიდძალი ჯართი და მაკულატურა; გაზეთის თაოსნობით სკოლებში შეიქმნა „მწვანე საგუშაგო“, რომლებსაც ხელმძღვანელობდა რედაქციასთან შექმნილი მთავარი შტაბი აკადემიკოს ნიკო კეცხოველის ხელმძღვანელობით; პიონერთა ხელით ათიათასობით ძირი ხე დაირგო, ათასობით კილოგრამი ტყის ჯი-

შების თესლი შეგროვდა. „ნორჩი ლენინელი“ სათავეში ჩაუდგა წითელლაშქრელთა მოძრაობას, რომელიც ლენინური კომკავშირის 40 წლისთავს მიეძღვნა. გაზეთის რედაქციამ ნორჩ ტექნიკოსთა, ტურისტთა და ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურებთან ერთად მოაწყო თამაში „ვაშენებთ პიონერულ ქალაქს“. თამაშის მიზანი იყო იმ ცოდნისა და ჩვევების დაუფლება რომელთაც პიონერული საფეხურები ითვალისწინებდა. დაუვიწყარი იყო თამაშში გამარჯვებულთათვის 12-დღიანი შეკრება ბორჯომის ხეობაში, კარვების ქალაქ მზიანეთში, გაზეთმა გამოაცხადა ორწლიანი ლაშქრობა ბუნებისა და კულტურის ძეგლთა დასაცავად, ლაშ-



ქრობას სარდლობდა რედაქციასთან შექმნილი სწავლულთა დარბაზი, რომლის წევრებიც იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები და მწერლები: შალვა ამირანაშვილი, ლევან გოთუა, ვასილ გულისაშვილი, ნიკო კეცხოველი, მარიამ ლორთქიფანიძე, ქსენია სიხარულიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, იასე ცინცაძე და ირაკლი ციციშვილი; „ნორჩმა ლენინელმა“ რესპუბლიკური ლაშქრობა გამოაცხადა ნაძვნარის დასაცავად — საშიში მწერის ლაფნიჭამიას წინააღმდეგ საბრძოლველად; ჩინებული ნაყოფი გამოიღო გაზეთის მიერ 1971 წელს გამოცხადებულმა ოპერაციამ „შავი საბადო“. იმავე წელს ოპერაციის მონაწილეთა მიერ შეგროვილი ჯართით რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში პიონერული ნადნობი გამოუშვეს. ოპერაცია „თეთრი ფარი“ უწოდა გაზეთმა პიონერთა ლაშქრობას მაკულატურის შესაგროვებლად.

„ნორჩი ლენინელი“ თავის მკითხველებს დროულად ამცნობს და განუმარტავს ყველა იმ მნიშვნელოვან ამბავს, რაც ჩვენს პლანეტაზე ხდება ხოლმე. იგი მათი მისანდო მეგზურია ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში.

„ძვირფასო რედაქციავ! ძალიან მინდა „ნორჩი ლენინელის“ კორესპონდენტი ვიყო...“ — ასე იწყება რედაქციის სახელზე გამოგზავნილი ბევრი ბარათი. გაზეთს ნორჩ კორესპონდენტთა დიდი არმია ჰყავს. სარედაქციო ფოსტაში ყოველდღიურად ათეულობით წერილი გროვდება. მათი ავტორები — საქართველოს ყველა ქალაქისა და სოფლის მკვიდრი მოზარდები — ალალად უზიარებენ რედაქციას თავიანთ ფიქრებს, ოცნებებს, სთხოვენ რჩევას, დახმარებას. უპასუხოდ არ შეიძლება დარჩეს არც ერთი ბარათი. რედაქციის მუშაკები დროსა და ენერგიას არ იშურებენ ავტორთა თხოვნის შესასრულებლად. ნორჩი შემოქმედნი თავიანთ პირველ, უშუალო სტრიქონებს სთავაზობენ რედაქციას გამოსაქვეყნებლად. მათ შორის საუკეთესო კიდეც იბეჭდება. არაერთი აწ ცნობილი ქართველი მწერალი ხომ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე დაფრთიანდა...

გაზეთ „ნორჩ ლენინელს“ იმთავითვე მხარში edგნენ ქართული მეცნიერებისა და მწერლობის სასიქადულო წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები. ივანე ბერიტაშვილი, ნიკო მუსხელიშვილი, კორნელი კეკელიძე, ნიკო კეცხოველი, აკაკი შანიძე, სიმონ ჯანაშია, ვიქტორ კუპრაძე, გიორგი ძოწენიძე, გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი, ნინო ნაკაშიძე, აკაკი ბელიაშვილი, გიორგი ნატროშვილი, მაყვალა მრევლიშვილი, ანა ხახუტაშვილი, იოსებ ნონეშვილი, რევაზ მარგიანი და სხვები მუდამ მზად იყვნენ უანგარო დახმარება გაეწიათ რედაქციისათვის ნორჩ მკითხველთა ჩამოყალიბებაში მამულიშვილებად, განათლებულ, მაღალი იდეალებისათვის მებრძოლ ადამიანებად.

სასახელოდ იმოღვაწა „ნორჩმა ლენინელმა“ სამოცი წლის განმავლობაში. ამიტომაც მოიხვეჭა მან ქართველი ბავშვების დიდი ნდობა და სიყვარული. ამიერიდან მისი პოპულარობა კიდევ უფრო გაიზრდება — მას იკითხავენ და შეიყვარებენ არა მარტო ქართველი, არამედ ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა შვილებიც, — იგი ხომ ამიერიდან რუსულ ენაზეც გამოდის.

კვლავაც სულ აღმავალი გზით ევლოს „ნორჩ ლენინელს“!

# ყურადღება! ვაჯამებთ ვიქტორინა-კონკურსს




დასრულდა ვიქტორინა-კონკურსი „გამარჯვება-40", რომელიც მიეძღვნა დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის ბრწყინვალე გამარჯვების მეორმოცე წლისთავს. იგი ჩვენი ჟურნალის 1984 წლის მე-5 ნომერში გამოცხადდა და სამ ეტაპად ჩატარდა.

ვიქტორინამ მოსწავლეთა უაღრესად დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს არც არის გასაკვირი. ომი, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში მძვინვარებდა ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალზე, აგრეთვე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის უზარმაზარ ტერიტორიაზე, ისტორიაში ყველაზე უმძიმესი, უსასტიკესი და გამანადგურებელი ომი იყო. ამიტომაც არის ასეთი შთამბეჭდავი საბჭოთა კავშირის ძლევამოსილი გამარჯვება, ამიტომაც, როგორც სკკპ ცკ-ის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, „ჩვენი ხალხისათვის წმიდათა წმიდაა გამარჯვების დღე, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს რეაქციის ძალებზე აღმავალი წყობილების გამარჯვებას, საბჭოთა საზოგადოების მტკიცე ერთიანობას, სსრ კავშირის ხალხთა ურყევ მეგობრობას, თაობათა რევოლუციურ მემკვიდრეობითობას".

ვიქტორინა-კონკურსში მონაწილეობდა 500-მდე მოსწავლე. სამივე ეტაპის კითხვებს უპასუხა 39-მა მონაწილემ, რომელთაგან ყველა კითხვაზე სწორი და ამომწურავი პასუხის გაცემა ათმა მოსწავლემ შეძლო. გაგაცნობთ მათ: მალხაზ ბახტაძე (გეგეჭკორის რაიონი, ნახუნაოს საშუალო სკოლა), ლელა გელავა (გეგეჭკორის რაიონი, ლეხაინდრაოს საშუალო სკოლა), ქეთევან მათიაშვილი (ლაგოდეხის რაიონი, ცოდნის 8-წლიანი სკოლა), ზაზა მილაძე (თბილისი, 142-ე საშუალო სკოლა), მაია რამაზაშვილი (თბილისი, 67-ე საშუალო სკოლა), ეთერ სარალიძე (ქუთაისი, 33-ე საშუალო სკოლა), მანანა სოლომნიშვილი (გურჯაანი, ვაზისუბნის საშუალო სკოლა), პაატა ფშაველაშვილი (ახმეტა, 1-ლი საშუალო სკოლა), ნინო ჩოგოვაძე (ქუთაისი, 1-ლი საშუალო სკოლა), ნინო ჭილაია (თბილისი, 1-ლი საშუალო სკოლა).

გარდა ჩამოთვლილებისა, დანარჩენ მონაწილეთაგან პასუხების სისრულით გამოირჩეოდა კიდევ ხუთი მოსწავლის ნამუშევარი. ესენი არიან: ნინო ბექაური (რუსთავი, 22-ე საშუალო სკოლა), ლევან ბიწაძე (თბილისი, 142-ე საშუალო სკოლა), მერაბ გაბრიჭიძე (ზესტაფონი, კვალითის საშუალო სკოლა),


ეთერ სარალიძე


მალხაზ ბახტაძე


მაია რამაზაშვილი


ნინო ჭილაია


ზაზა მილაძე

**ნანული მათიაშვილი** (ლაგოდეხი, ცოდნის 8-წლიანი სკოლა), **მაია სალთხუციშვილი** (გარდაბანი, მარტყოფის მე-2 საშუალო სკოლა).

ჟურნალ „პიონერის" რედაქცია და ვიქტორინა-კონკურსის ჟიური გულითადად ულოცავენ გამარჯვებულებს ამ წარმატებას. ამავე დროს, რედაქცია და ჟიური ფაქტობრივად გამარჯვებულად თვლიან ვიქტორინის ყველა მონაწილეს, ვინც სწორი პასუხების ძიებაში უამრავი რამ წაიკითხა, ამით სამამულო ომის ისტორიის ცოდნის დონე აიმაღლა და დარწმუნდა, რომ მათმა პაპებმა და ბებიებმა, საბჭოთა ხალხმა ყველაფერი იღონეს მშობლიური მიწა-წყლის გადასარჩენად, საკუთარი სისხლის ფასად დაიცვეს ჩვენი ქვეყნის წარსულის მონაპოვარი, ნათელი აწმყო და კიდევ უფრო ნათელი და ბედნიერი მომავალი.

ჟურნალის რედაქცია და ვიქტორინა-კონკურსის ჟიური მადლობით აღნიშნავენ სამხედრო ჟურნალისტის, კაპიტან ვლადიმერ მიროშნიჩენკოს მიერ გაწეულ მუშაობას ვიქტორინის მომზადებისა და ჩატარებისათვის. ისინი მადლობას უხდიან, აგრეთვე, ვიქტორინა-კონკურსის ყოველ მონაწილეს, და არა მარტო მათ, არამედ პედაგოგებსა და მშობლებსაც, რომლებიც მოსწავლეებს საჭირო ლიტერატურის შერჩევასა და სწორი პასუხების ჩამოყალიბებაში დაეხმარნენ.



ნინო ჩოგოვაძე



პაატა ფშაველაშვილი



ქეთევან მათიაშვილი



ლელა ჯულაყა



მანანა სოლომნიშვილი

## სიმონ შამფრიანი

### მკათათვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვენიერია ყველა
წელიწადის დრო, თვენი,
ყველას თავისი მადლი,
თავისი ფერი შვენის,
მაგრამ სხვა არის მაინც,
სხვა სიხარულის მგვრელი,
შუაზაფხული, ანუ
ჩვენი მკათათვე ცხელი,
მისი ცინცხალი დილა,
ცვარი — ციური ცრემლი,
მთაში — კრიალა ცასთან
გაცინებული ცელი,
თივის სურნელი მძაფრი,
ფართო ნამხრევი სველი,
ბარში — დაღვრილი ოქროდ
ხოდაბუნები ვრცელი,
ხიდან ღუღუნი ქედნის —
მწიფე სამკალის მცველის,
მწიფობელების ქროლა,
აქვითქვითება მწყერის,
ამო გუგუნი, სრბოლა
ხომალდებისა ველის,
ყანის ფერდაზე ძნები
წელგაკრულები წნელით,
კალოზე ხორბლის ხვავი,
ზვინები ნამჯის ხმელის,
მზით გარუჯული გამრჯე,
სიტკბო ერთურთის შველის...
ბოლოს, გატეხვა ერთად
პურის, არსობის ჩვენის.

### საღამო

საღამოჟამს ყმაწვილები
კოშკის ძირას ვისვენებთ,
შრომისაგან დაღლილები
ყელს მჟავე წყლით
ვისველებთ.
შუკა-შუკა უთვალავი
ელავს ციცინათელა,
სერებს ვერცხლად ეფინება
მყინვარების ნათება.
გამოიტანს ვინმე ჩონგურს,
ან ჩანგსა და ჭიანურს
და ყურს უგდებს არემარე
ჩვენს სიმღერას მხიარულს.
...მერე მთვარე,
თეთრი მთვარე...
ხევში ჩრდილი მთებისა...
და ზაფხულის წყნარი ღამეც
გვეტყვის: — ძილი ნებისა!



# ჯამბარა დეტექტივი

ირინე ბალიაშვილი

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

მოთხრობა

— ფერმის გამგევ, ფერმის გამგევ! — ქუჩიდანვე აყვირდა ვიღაცა და ტახტზე წამოწოლილ ფერმის გამგეს სიმყუდროვე დაურღვია.

— გახედე ერთი, ვინა ყვირის, ბიჭო, თითქოს სახელი არ იცოდეს, — უკმაყოფილოდ წამოიწია კაცმა და წიგნის კითხვაში გართულ ვაჟიშვილს გადახედა, მაგრამ მამის ბუზღუნზე ბიჭმა ყურიც არ შეიბერტყა, სიმინდის ფუჩეჩივით გახუნებულ, გაუკრეჭავ თმას ხელებით ჩაფრინდა და უფრო ჩაუკირკიტდა წიგნს. ყვირილი არ დამცხრალა, უკვე აივანს მოუახლოვდა ის ვიღაცა და უფრო აახმიანა იქაურობა. ახლა კი იკადრა ფერმის გამგემ წამოხტომა, იქვე მიყრილ ჩექმებში ფეხი სტუცა და თან ბიჭს შეუტია: — გამიხდი რა ინსპექტორი ისა... ისა... — მაგრამ რომ ვერ მოიგონა, უფრო გაგულისდა, — გაწიე იქით წიგნი, არ გადაჰყევი ამ დეტექტივებს? გაკვეთილებს მაინც სწავლობდე. — მერე კარი სწრაფად გამოაღო და გარეთ გაიხედა.

ბიჭმა ახლაღა ასწია თავი, ყურები ცქვიტა და იმანაც გამოღებულ კარში დაიწყო ჭვრეტა.

— ზოსი, — როგორც იქნა გაბედა იმ ვიღაცამ სახელის დაძახება და კიბის საფეხურები ამოაჭრიალა, — ხომ არ გაგაღვიძე, კაცო?

— გამაღვიძე კი არა... — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ფერმის გამგემ. — შემოდი შინ, პირველად ხარ თუ რა არის, ქუჩიდან რომ სკდები ყვირილით.

სტუმარს ბევრი თავპატიჟი არ დაუდვია, ფეხები წინკარში გულმოდგინედ დაიბერტყა და თბილ ოთახში ზამთრის სუსხით გაჟღენთილი აბოლქვებული ჰაერი შემოიტანა. ფერმის გამგემ ღუმელთან პატარა სკამი მიუმარჯვა.

— ეხლა იტყვი, რამ მოიყვანა ამ ყიამეთში? — ჯავრიანად წამოიწყო სტუმარმა და ხელები მოიფშვნიტა. — ჭედილა დავკარგე, კაცო, ხომ იცი, ეგ ერთიღა მყავდა, წუხელ მთელი ღამე ვეძებე. სად უნდა გადასულიყო, არ ვიცი...

ჭედილას ხსენებაზე მაგიდასთან მიმჯდარი ბიჭი გამოცოცხლდა, წამოხტა და გვერდით ამოუდგა სტუმარს. მამამ თვალების ბრიალით გადახედა ვაჟიშვილს.

— შენს საქმეს მიხედე, წკიპავ. აქამდე ადგილიდან ვერ აგაგდე, ეხლა რა სამძებრო საქმე იშოვე, — დაუტატანა და თან სტუმარს მიუბრუნდა: — ეგ რომელი ჭედილა, სიმონა? შარშან გუდა მენახირემ რომ დააპატიმრა?

— ჰო, მაშ, სწორედ ეგა, — თვალები დაუელმდა მეზობელს. — წუხელ მთელი ღამე ვეძებე, სად უნდა გადასულიყო? გუშინ, ვიდრე მოთოვდა, გორაზე ნეკერის მოსაწიწკნად გავუშვი, გახალისდება-მეთქი. მეც იქით გადავედი ნათლიმამასთან, ვიდრე გამოვბრუნდებოდი, გაქრა, კაცო. იქით მივდექ, აქეთ მოვდექ, წანწალი იცის, იქნება ვინმესთან მიებლახვა-მეთქი, მაგრამ არ გამოჩნდა და არა...

სიმონამ ტყაპუჭის სახელო სველ თმაზე გადაისვა და ამოიოხრა:

— ერთი თქვენს ფარეხში ჩაგეხედათ, იქნება იქ შეერია.

ფერმის გამგემ წარბები აწკიპა. სტუმარს უგულოდ დაუქნია თავი, მაგრამ ჯერ ფარეხში ჩასასვლელად არ ეცალა. ვიდრე სტუმარი გასაჭირს შესჩიოდა, ის ოთახში დაბორიალობდა და განჯინაში რაღაცას ეძებდა, ბოლოს მიაგნო, ჭაჭის არყით სავსე ბოთლი მაგიდაზე ჩამოდგა და ბიჭს დაუძახა:

— თენგო, გავარდი აბა, და მჟავე კომბოსტო გამაიტა მარნიდან.

თენგომ ირიბად გადახედა მამას, არაფრად ეპიტნავა ბრძანება, თვალწინ დაკარგული ჭედილა ედგა და დეტექტივებში ამოკითხული ათასგვარი სამძებრო გეგმა უტრიალებდა თავში. აქედან რომელი მიუდგებოდა ჭედილას საქმეს, იმაზე ფიქრობდა, ბოლოს მაინც წამოდგა, უხალისოდ გაფრატუნდა მარანში და მამის დანაბარები წამოიმძღვარა.

კაცებს უკვე მოესწროთ ორ-ორი ჭიქის გადაკვრა. კრიჭა გახსნოდათ და ლაპარაკის მადაზე მოსულიყვნენ.

— ვის დავაბრალო, კაცო, — მოესმა ბიჭს სიმონა ბიძიას ბუზღუნი. — სოფელში მტყუანიც ბლომადაა და მართალიც. ქურდმა ერთი ცოდვა ქნა და დამბრალებელმა ათასიო.

— მაშ, მაშ, — კვერი დაუკრა ფერმის გამგემ და თან მადიანად ჩაკბიჩა მჟავე კომბოსტო.

— ჰოდა, იმას გეუბნებოდი, — დაკოჟრილი ხელის თითი მოკეცა სიმონა ძიამ, — ორი წლის წინათ კურკაანთ ნუგზარამ აკრძალულ ზონაში ტახი რომ მოკლა და შვიდი თუმნით დააჯარიმეს, გახსოვს?

— ჰო, მაშ, — კვლავ დაეთანხმა ფერმის გამგე და გატრუნულ ვაჟი-

შვილს მიუბრუნდა: — უფროსების ყურის გდება სად გაგონილა, წკიპავ? ისევ შენს წიგნებს მიხედე, შენს წიგნებს... — მაგრამ თენგომ არაფრად ჩააგდო მამის შენიშვნა, გვერდით ჩაიმუხლა და სმენა გაამახვილა. ნამდვილი გამომძიებელივით გუნებაში უკვე საქმის შესწავლას შესდგომოდა და იმაზე ფიქრობდა. სიმონა ძია კი ისევ თითებს იშველიებდა:

— ციგანაანთ წუწკა გუჯალას ბიჭს ფულს რომ ესესხა და ვალი უკან აღარ დაუბრუნა, ხო გახსოვს? საქმე სასამართლომდე მივიდა. ეგეთი კაცი მრუდე არ იქნება? იქნება... ბერბიჭა ანზორამ ძროხები რომ მოჰპარა ძილისგუდა მენახირეს და ბაზარში გასასყიდად წაასხა, არ გახსოვს? ეგეთი კაცი ხელმრუდე არ იქნება? იქნება... ანდა, ბიჭო, ნამცეცაანთ აბრამამ ორი ტონა მარცვალი რომ აწაპნა ამ ზაფხულს კალოდანა, ეგეთი კაცი მტყუანი არ იქნება? იქნება...

— მაშ, მაშ, — ისევ თავის კანტური აუტყდა ფერმის გამგეს. — გუდა მენახირე? გუდა დაგავიწყდა? ბოსტანი გამიოხრესო, ჩვენი ცხვრები ერთად არ ჩაეყარა ორმოში?

— მაშ, მაშ, — ნაღველი გაერია ხმაში სიმონა ძიას და ლუკმა ყელზე დაადგა. — იქნება ახლაც დაჭერილები ჰყავს, ბიჭო, ცილი ვის დავწამო, ვისა, ჰა?

სტუმარ-მასპინძელს თვალები თანდათან დაუწვრილდათ, მტყუან-მართლის ძიებაში ჭედილა ნელ-ნელა გადაავიწყდათ. ახლა თომა მეტყევის უბედურებას გადასწვდნენ; მერე ნასყიდა ლიბრიანის უკანონოდ მიწერილი შრომადღეები დაითვალეს და შექეიფიანებულებმა ერთმანეთს მიუღიღინეს კიდეც.

ამასობაში ბიჭმა დრო იხელთა, შეუმჩნევლად გაიძურწა მეორე ოთახში, ფოტოაპარატი მოძებნა, მხარზე გადაიკიდა და უპალტოოდ, ცალყურა ქუდის ქნევით კიბეზე დაეშვა.



●

წვრილად, გაბმულად ბარდნიდა. ორღობეში მოციგურავე ბავშვების ჟივილ-ხივილს ძაღლების ყეფაც უერთდებოდა. თენგოს ყურადღება არ მიუქცევია თანატოლების ძახილისთვის, ხელის აწევით, მედიდურად მიესალმა და სწრაფად ჩასრიალდა ფერდობზე. ბიჭებმა პატივისცემით გააყოლეს თვალი. ყველა სადავიდარაბო საქმეს ფერმის გამგის ბიჭი სჭრიდა-ჰკერავდა და სამართლიანი კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი სოფელში.

თენგომ ფერდაზე შეფენილ სახლებს გადაავლო თვალი და ჩაფიქრებული კურკაანთ ეზოსთან შეჩერდა. რკინის ჭიშკრის მიღმა გოჭის ჭყივილი ისმოდა. ბიჭი მიხვდა, დაკვლას უპირებდნენ საცოდავს. იქაურობა კარგად დაზვერა, მაგრამ ხელჩასაჭიდი ისეთი არაფერი ჩანდა, ჭედილას კვალზე რომ მიენიშნებინა. თენგო სწრაფად გაშორდა კურკაანთ და გეზი ბერბიჭაანთ ეზოსკენ აიღო. ბერბიჭაანთ ბიჭები კომშის ხეზე ჩამოკიდებულ ცხვარს ატყავებდნენ. აქეთ-იქიდან მარდად ეჯაჯგურებოდნენ ძროხის ქურდი თევდორე და თოფიკა.

მოპარულ ცხვარს ასე საქვეყნოდ არ ჩამოჰკიდებდნენო, — აწითლებული ცხვირი მოისრისა ბიჭმა, მაგრამ გულმა არ გაუძლო, მაინც შეაბიჯა ეზოში.

— ვაჰ, სოფლის გამომძიებელს გაუმარჯოს! — ხანჯლიანი ხელი ასწია თოფიკამ. თენგომ ცალყბა ღიმილი შეაგება მკლავებდაკაპიწებულ კაცს. მერე იქაურობა მოათვალიერა და ჩაფიქრდა. შუა ეზოში ცეცხლი გიზგიზებდა. ზედადგარზე შედგმული ოხშივარავარდნილი ქვაბი მოსახარშ ხორცს ელოდებოდა. გარბოდნენ და გამორბოდნენ ქალები ხონჩით ხელში. — კიდევ კარგი, შენი ფეხით მოხვედი, შვილო, —

გვერდიდან მოესმა ბიჭს ქალის ხმა. მოტრიალდა და ღვინის ხელადით ხელდამშვენებულ ანეტა ძალოს შეეფეთა.

— თქვენსა ვაპირებდი ეხლა გადმოსვლას. მამაშენს უთხარი, ხომ არ დაავიწყდა, ამაღამ ქორწილი რო გვაქვს, არ გაგვაწბილოს.

— ვეტყვი, აუცილებლად ვეტყვი, — საქმიანად დაეთანხმა ბიჭი და ისევ ეზოს გადახედა. უცებ, გასაშრობად გაფენილ ცხვრის ტყავს შეასწრო თვალი, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი ამოიკითხა, ამ ტყავს სიმონა ძიას თავშავა ჭედილასი არაფერი ეცხო.

იმედგაცრუებული ბიჭი უხალისოდ გამოჩანჩალდა ბერბიჭაანთ ეზოდან. ჭედილას პოვნის იმედი თითქმის გადაეწურა. აღარ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. დაღონებულმა გათოშილი ხელები ჯიბეებში ღრმად ჩაიწყო და აღმართის თავში წუწკაგურამას შუშაბანდიან სახლს გახედა.

სახლი გაბუტულივით გადმოჰყურებდა სოფელს. იგი იმ წუწკა-გურამას საკუთრება გახლდათ, გუჯალას ბიჭს ფულს რომ ესესხა და მერე მთელი წელი სასამართლოში არბენინა. ამჟამად იმისი ეზოდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ღობესთან დაყუდებული თივის ზვინისთვის თოვლს თეთრი ქულაჯა წამოეხურა, ხოლო საჩეხში აკოკოლავებული შეშის ნაჭრები შავად ბზინავდნენ.

ბიჭმა უხალისოდ მოარიდა თვალი წუწკა-გურამას კარ-მიდამოს და უცებ გაშტერდა. გორაკიდან მობერილმა კვამლის სუნმა ნესტოები შეუთრთოლა. მერე, შემოტრიალდა თუ არა, გზის პირზე წამოჭიმული გუდა მენახირის სახლი შეეფეთა თვალში. ეზოში დანთებულ ცეცხლთან გუდა მენახირე და მისი ცოლი ალათი ფუსფუსებდნენ.

„ხორცს ხარშავენ"! — გაუელვა ბიჭს თავში, უნებურად ფოტოაპარატს წაეპოტინა, მერე ქუდი შეისწორა და ყოჩაღად გასწია მენახირის სახლისაკენ. შარაგზაზე არავინ ჩანდა. ზამთრის მოკლე დღეში ნაადრევად შებუდებული ქათმებივით შეხიზნოდნენ სახლებს მეზობლები. მხოლოდ გუდა მენახირე და მისი ცოლი ტრიალებდნენ საეჭვოდ ეზოში, მაგრამ, როცა ბიჭი წნელის ღობესთან სათვალთვალოდ ჩაიმალა, უკვე გვიანი იყო — აღარც ცეცხლზე შემოდგმული ქვაბი ჩანდა და აღარც სამწვადედ გამზადებული ხორცი. გუდა-მენახირე თოვლს აყრიდა აკვამლებულ მუგუზლებს.

— კაცო, ეგრე მარტოდ რად ირჯებიან? — გაუკვირდა თენგოს და სიმონას სამდურავი მოაგონდა, შარშან გუდამ დამიპატიმრა ცხვარიო. — აქ ნამდვილად რაღაც ამბავია, — ჩაილაპარაკა თავისთვის და მუჭა დაიორთქლა. — იქნებ ჭედილა ისევ ესტუმრა ამათ ეზოს და... ჰა? — აღარ დაამთავრა ბიჭმა ჩანაფიქრი, ფოტოაპარატი მხრიდან გადმოიღო და გადასაღებად მოამზადა. თითქოს გულმა უაზრაო, დაბარებულივით გამოიხედეს ცოლ-ქმარმა ბიჭისკენ, ერთმანეთს რაღაცა გადაულაპარაკეს და სწრაფად შეცუხცუხდნენ საჩეხში. არ დაბნეულა ბიჭი, მოასწრო და ტკაცატკუცი აუყენა აპარატს. მერე დრო იხელთა და ახლა უკანიდან მოუარა სახლს. მარნის გვერდით ტოტებგაფარჩხული თუთის ხე შენიშნა. ზედ პირუტყვის გასაფეშხვავებლად გამზადებული თოკის ნაგლეჯი კონწიალობდა, ხოლო ხის ძირას მიგდებულ მორზე სისხლშემხმარი ხანჯალი ერჭო. თუთის გვერდით თონის ფიცრებზე გასაშრობად გაფენილი, მარილწაყრილი ტყავი მოჩანდა. სიმონა ძიას ჭედილასავით ტყავს ალაგ-ალაგ შავი ბეწვი უბზინავდა. ბიჭი გამალებული აჩხაკუნებდა აპარატს.

•

მეორე დღეს, ჯერ ხეირიანად გათენებულიც არ იქნებოდა, რომ თენგო ბიჭი დაბარებულივით მიადგა გუდა მენახირის სახლს.

— გუდა ძიავ, გუდა ძიავ, — კაკუნი ატეხა ბიჭმა კარზე.

— რომელი ხარ მანდა, რა გაყვირებს? — არც წამომდგარა, ისე გაეხმიანა თბილ ღუმელთან მიმჯდარი გუდა მენახირე.

— ფერმის გამგის შვილი ვარ, თენგო, — ცოტა ნირი წაუხდა ბიჭს.

— მერე, სახელი არ იცი? — უკმაყოფილოდ აბუზღუნდა მენახირე, — უფროსებს ეგრე ელაპარაკებიან?

— გიგო ძიავ-მეთქი, ბატონო, და... — თავი მოიკატუნა ბიჭმა, — გამიღე ახლა კარი, მნიშვნელოვანი საქმე მაქვს.

— ალილოზე ხარ თუ რა საქმე გაგიჩნდა? — ისევ დაეზარა წამოდგომა გუდა მენახირეს და ცოლი გაგზავნა კარის გასაღებად.

— აჰა, შემოდი!

ალათი ძალო იჭვნეულად მიაჩერდა დაუპატიჟებელ სტუმარს. გუდამაც კეხიანი ცხვირის ზემოდან ცალი თვალით ირიბად გადმოხედა.

— ჰა, რა გაგიჭირდა?

— გამიჭირდა კი არა, პროფესია მაიძულებს, რა ვქნა? — ხელები გაშალა მიამიტად ბიჭმა, — ხომ მოგეხსენებათ, ისაო...

მაგრამ წინადადების დამთავრება ვეღარ მოასწრო, ქუჩიდან შემოჭრილმა ყვირილმა სიტყვა გააწყვეტინა და გუდა მენახირეც იძულებული გახდა, ახლა თვითონ გაბრძანებულიყო აივანზე.

— კაცო, ამ დილაბნელზე რა ყვირილი აგიტყდათ, ღამურები ხომ არა ხართ?

— ღამურა კი არა, კუკურა ვარ, — დაბლიდან ამოიძახა დაბოხებულმა ხმამ. — ნახირს დღეს შენ წაიყოლებ თუ ნასყიდა ლიბრიანი?

— რას გადამეკიდეთ, კაცო?! — ბრაზისაგან სულ ერთიანად გაულურჯდა კისერი გუდა მენახირეს, —



ალარ დამასვენებთ? ლიბრიანის ჯერია, ლიბრიანის...

— ჰოო, — თავი მოიქექა შეფიქრიანებულმა კუკურამ და თოკზე გამობმულ ძროხას დაეჯაჯგურა. — მაშ, სად არის აქამდე ის კაცი...

— ჯანდაბაში! — აივნიდან გადმოსძახა გუდამ და უცებ გაახსენდა: — მართლა, იპოვა ჭედილა შენმა მეზობელმა? გუშინ გზა ამიტალახიანა.

— ჰოო, ჰოო, — მოკლედ გადმოუგდო სიტყვა კუკურამაც და ძროხას თოკის წვერი გადაუშხივლა.

კაცების ლაპარაკზე ალათიც გამოვარდა გარეთ და კარგი ამბის მახარობელი ლოცვა-კურთხევით აავსო. მხოლოდ თენგოს მოეშხამა გუნება, გაიგონა, სიმონას ჭედილა უპოვიაო და ხაფანგში გაბმული თაგვივით დააცეცა თვალები: სად გამქრალიყო?

— რა ხათაბალაში არ გაგხვევს კაცს ხანდახან ეს დეტექტივები! — ჯავრიანად ჩაიბუტბუტა ბიჭმა და, ვიდრე ცოლ-ქმარი შიგნით შემოსვლას მოასწრებდა, დრო იხელთა, ფოტოსურათები მაგიდაზე მიყარა და ლიწინ-ლიწინით ჩაირბინა კიბის საფეხურები.

— თენგოვ, ეე, ფერმის გამგის ბიჭოო!

მაგრამ ყურს ვიღა უგდებდა! გაოცებული მოხუცები ერთმანეთს მიაშტერდნენ. ვერ გაეგოთ, რა ბზიკმა უკბინა ყმაწვილს.

ოთახში რომ შებრუნდნენ და მაგიდაზე დაყრილი ფოტოები შენიშნეს, უფრო გაუკვირდათ, ჯერ შიშით დააშტერდნენ, მერე ნელ-ნელა გაეხსნათ შუბლი და სიყვარულით აევსოთ თვალები.

— შეხედე, რა კარგი ფოტოგრაფი დამდგარა? — ღიმილით წამოიძახა ალათიმ. — როგორ ჩუმად გადაუღია, ხედავ? პროფესია მაიძულებსო, ქა, ჰა?

— აბა, აბა, რა კარგად გამოვუყვანივართ, კაცო? — გაკვირვება ვერ დამალა მენახირემაც. —ე, თურმე რაზე დაგვაფეთა დილაადრიან... — ჩაიღუღუნა ღიმილით და საკუთარი სურათისთვის თვალის მოწყვეტა დაენანა.

ლ ი დ ა ს ბ ვ ი ლ ი ა

## ჩემს საქართველოს ვუმღერი



ჩემს საქართველოს ვუმღერი,
ლამაზს, მთვარიანს, მზიანსა,
წითელ-ყვითელი სხივების
ცისარტყელებად ბრიალსა,
ვუმღერ მუხნარს და თელიანს,
იფნარს, დაფნარს და ბზიანსა,
ფშავ-ხევსურეთის ჭიუხებს
და თუშეთს ახალგზიანსა,
სვანურ კოშკებს და მწვერვალებს —
თეთრი ჯიხვების ზიარსა,
ვუმღერ ჩემს ლამაზ მთას და ბარს,
ყანებიანს და ზვრიანსა,
ტყეებს ცივწყაროებიანს,
კოლხეთს — ლურჯთვალა მზიანსა,
ლიახვს, დიდგორზე მომღერალს
და კახეთს ალაზნიანსა,
ვუმღერი ბულბულებით და
ირმებით სავსე ტყიანსა,
სამურზაყანოს ენგურჰესს,
ჯვარზენს — ენგურის ზღვიანსა,
ძველი ჰესების მაღალ ძმას —
სინათლის ახალფრთიანსა;
ვუმღერი კამკამს ვარსკვლავთა,
ცისფერ ნისლების ფრთხიალსა,
მთაწმინდის,
მცხეთის,
არმაზის
და საგურამოს ნიავსა;
პატარძეულის ზამბახებს,
თეთრი ზედაზნის იასა,
ყვარელის მთების სუროებს,
წინანდლის ვარდს და სვიასა,
მარტვილს,
გრემს,
გელათს,
მცხეთის ჯვარს,
სხვიტორს და ყინწვისს სვიანსა,
ჩემს დედა-თბილისს ვუმღერი,
დედა-ხოხობის ხმიანსა!

## გვიყვარს ჩვენი კარგი სკოლა

გვიყვარს ჩვენი კარგი სკოლა,
სადაც ვსწავლობთ ანაბანას,
სადაც ვსწავლობთ წერა-კითხვას,
სადაც ვკენკავთ სიბრძნის ყანას!
სადაც ვსწავლობთ ჩვენი ქვეყნის
მოვლასა და პატრონობას
ხმაგუგუნა ბიჭები და
გოგონები ხმატოროლა...
განა მარტო გაკვეთილებს?
ვსწავლობთ ქცევას, თამაშს, შრომას,
ვსწავლობთ — ვინ გვყავს
მტერ-მოყვარე,
მეგობრობას ვსწავლობთ სწორად.
ვსწავლობთ ქვეყნის ავსა და კარგს,
რომ მკვახეზე არ ვთქვათ მწიფე,
ვსწავლობთ უფროს-უმცროსობას,
ფერებს: ყვითელს,
შავს თუ წითელს!..
ზოგს ხუთები დაგვიწერა,
ზოგს ოთხები,
ზოგსაც სამი, —
დიახ, მასწავლებელია,
აგვიხილა ვინაც თვალი,
დაგვიწერა ორიც, მაგრამ —
მაინც გვიყვარს დედასავით!
გვიყვარს ჩვენი კარგი სკოლა,
სადაც ვსწავლობთ ანაბანას,
სადაც ვსწავლობთ წერა-კითხვას,
სადაც ვკენკავთ სიბრძნის ყანას!



ეროვნული ბიბლიოთეკა

17. 977



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იალბუზი

დენიზა გოზალიშვილი

იალბუზი კავკასიონის უმაღლესი მწვერვალია. განსაკუთრებული ადგილი უკავია იალბუზს დიდი სამამულო ომის დროს კავკასიის დაცვის გმირულ ეპოპეაში.

გავიდა ხანი... ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩმა მთამსვლელებმა რამდენჯერმე მოაწყვეს ლაშქრობა ყაბარდო-ბალყარეთის ამ ულამაზეს რაიონში, რომელიც დაკავშირებულია კავკასიის დაცვასთან და ქართველ მეომართა თავდადებასთან. ვაქვეყნებთ ამ ლაშქრობების მონაწილეთა დღიურების ამონაწერებს.

---

● ...ნალჩიკს ქალაქ-პარკს ეძახიან და, გარდა ამისა, ტურისტთა და მთამსვლელთა ქალაქსაც უწოდებენ. აქედან იწყება ყველა მაღალმთიანი მარშრუტი.

პიონერთა სახლში, სადაც ჩვენ დავბინავდით, ბევრი საინტერესო მასალა ვნახეთ ყაბარდოელ და ბალყარელ პიონერთა საქმიანობაზე. შევაგროვეთ მასალები ჩვენს თანატოლებზე, რომლებიც მამებისა და უფროსი ძმების გვერდით ებრძოდნენ ფაშისტებს. ისინი უშიშრად გადადიოდნენ ფრონტის ხაზზე; ჭრიდნენ ტელეფონისა და ტელეგრაფის ხაზებს, ცეცხლიდან გამოჰყავდათ დაჭრილი მებრძოლები.

...ნალჩიკიდან იალბუზისაკენ მიმავალი გზა საქართველოს სამხედრო გზას გვაგონებს. ქვევით მოხმაურობს შმაგი მდინარე ბაქსანი, რომელიც სათავეს იალბუზის მყინვარიდან იღებს. ამ მდინარეზე დიდი ჰიდროელექტროსადგურია აგებული. გზადაგზა ძმათა სასაფლაოებს ვხვდებით. ირგვლივ ნისლია ჩამოწოლილი. თირნიაუზში შევისვენეთ. 1945 წლამდე იგი პატარა სოფელი ყოფილა, სამამულო ომის დამთავრების შემდეგ სწრაფად გაზრდილა და ახლა ქალაქია, მრავალსართულიანი შენობებითა და მოასფალტებული ქუჩებით.

აქედან იწყება ბაქსანის ხეობის ულამაზესი ნაწილი.

...წუხელვე გაფუჭდა ამინდი. დილითაც წვიმდა, მაგრამ გეგმა არ შევცვალეთ და იალბუზისაკენ გავემართეთ. წვიმა კი ძლიერდებოდა, თითქოს ჩვენ გვეჯიბრებოდა.

თერსკოლში გულთბილად გამოგვეგება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, სპორტის ოსტატი გიორგი სულაქველიძე. სამამულო ომის წლებში სწორედ ამ ადგილებში იბრძოდა თურმე. ზეპირად იცის თითოეული მწვერვალი, ბორცვი თუ ხრამი. მეტად საინტერესო ამბები გვიამბო ამ მიდამოებში მებრძოლ საბჭოთა ბატალიონზე, მიგვასწავლა ქართველი მეომრების — კაპიტან ბუხაიძის, რობაქიძის, სარიშვილისა და სხვათა საფლავები და ყოველმხრივ შეგვიწყო ხელი დასახული მიზნის შესრულებაში.

...განვაგრძეთ გზა. სულ უფრო მაღლა და მაღლა მივიწევდით. გზაში გვხვდებოდნენ სამთო ტურისტები, რაც უფრო მაღლა ავდიოდით, მით უფრო სქელდებოდა ნისლი. მოძალებულმა წვიმამ, მერე კი თოვლმა იძულებული გაგვხადა შევჩერებულიყავით. 3700 მეტრზე ასულებს ვერ წარმოგვედგინა, უკან ისე დავბრუნებულიყავით, რომ მზით განათე-

ბული კავკასიონისათვის არ შეგვეხედა. „ღამე აქ გავათიოთ!" — თითქმის ყველამ ერთხმად შევძახეთ დენიზა მასწავლებელს. იქვე, ახლოს, ხელოსნები პატარა ხის სახლს — თავშესაფარს აგებდნენ. მუშებმა გულუხვი მასპინძლობა გაგვიწიეს: ღამის გათევის ნება მოგვცეს და ღუმელი გაგვიხურეს.

ამინდი გვეთამაშება: თოვლსა და ნისლში ხანდახან გამოჩნდება ზოგან — გაშიშვლებული, ზოგან — თოვლით გადათეთრებული მთები. ჩასვლის წინ მზემ ცოტა შეიცადა და ჩვენც გარეთ გამოვეფინეთ. შევყურებდით მზის სხივებით გაცისკროვნებულ მწვერვალებს, ზვავებად ჩამოშლილ თოვლს, დახერგილსა და დაბურულ ხევებს, ლურჯად მოკიაფე მყინვარებს. ვცდილობდით, ფოტოფირებზე მაინც ამოგვებეჭდა ეს სილამაზე.

...ღამემ მალე გაიარა. ირიჟრაჟა თუ არა, გარეთ გამოვედით. დიდებული სურათი გადაგვეშალა თვალწინ. კავკასიონის მწვერვალები უღრუბლო ცის ფონზე საოცრად ახლოს ჩანდნენ. აგერ უშბა, მაზერი, შხელდა, დონღუზ-ორუნი, ნაკრა. ჩვენი კინოოპერატორი თემურ ჭოხონელიძე სასწრაფოდ იწყებს გადაღებას. გვესმის ბესიკ სტურუას ხმა: „რა ვიპოვნე!" ჩვენი ხელმძღვანელები დაყვავებით სთხოვენ, ფრთხილად დადოს ნაპოვნი მიწაზე. ის გერმანული ხელყუმბარაა. კარგი შიში ვჭამეთ ყველამ. ქვევით რომ ჩამოვედით, ტურბაზის დირექტორს ვაცნობეთ ხელყუმბარის შესახებ. იალბუზის ფერდობებზე თურმე ჯერ კიდევ მრავალი ყუმბარა და სხვა იარაღია დარჩენილი.

...ძალიან საინტერესო იყო შეხვედრა ადილ-სუში სპორტის დამსახურებულ ოსტატ იოსებ კახიანთან, რომელიც ამ ხეობაში მაშველ სამუშაოთა უფროსია. მან გვიამბო თავის ასვლაზე და გმოჩენილ მთამსვლელთან, მიხეილ ხერგიანთან ერთად ინგლისში ყოფნაზე.

დიდი სამამულო ომის წლებში კავკასიის დაცვის ბრძოლებში იალბუზს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამას ადასტურებს მედალი „კავკასიის დაცვისათვის", რომელზედაც ეს მწვერვალია ამოტვიფრული. 1942 წელს ხათი-თაუს უღელტეხილით გერმანელები ყუბანიდან ამოვიდნენ, ზღვის დონიდან 4100 მეტრ სიმაღლეზე „თერთმეტის თავშესაფარში" დაისადგურეს და იალბუზზე ფაშისტური დროშა აღმართეს. უმაგალითო ბრძოლების მოწმენი გახდნენ იალბუზის ფერდობები. 242-ე სამთო მსროლელი დივიზიის მებრძოლები მიერეკებოდნენ გერმანელებს კავკასიონის უღელტეხილებიდან — ჩიპერა-აზაუდან, ბასადან, დონღუზ-ორუნიდან. ბაქსანის ხეობასა და იალბუზზე საგმირო საქმეებს სჩადიოდნენ 392-ე ქართული დივიზიის მეომრები. დიდი როლი შეასრულეს კავკასიის ბრძოლებში ზემო სვანეთის მცხოვრებლებმა, განთქმულმა მთამსვლელებმა და მონადირეებმა, მთის ბილიკებისა და უღელტეხილების შესანიშნავმა მცოდნეებმა. მათი უშუალო დახმარებით ბაქსანის ხეობიდან დონღუზ-ორუნის უღელტეხილით სამშვიდობოს გაიყვანეს დაჭრილები, მოხუცები და ბავშვები. შემოდგომის სუსხიან დღეებში, როცა მთაში უკვე ზამთარია, მათ ზურგით, მებრძოლებთან ერთად, გადმოზიდეს საქართველოში 30 ტონაზე მეტი ძვირფასი მადანი — ვოლფრამი და მოლიბდენი, გადმორეკეს რამდენიმე ასეული სული საქონელი. იალბუზის მწვერვალიდან გერმანელ ფაშისტთა დროშის ჩამოხსნაში მონაწილეობდნენ ჩვენი სახელოვანი მთამსვლელები: გაბრიელ და ბექნუ ხერგიანები, გიორგი სულაქველიძე, ლეონიდ კელსი და სხვ.

...მოგზაურობის შემდეგ სასახლის ნორჩმა მთამსვლელებმა ქალაქის პიონერულ აქტივთან ერთად შეხვედრა მოუწყეს 392-ე ქართული დივიზიის ყოფილ მეომრებს. შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა იმდროინდელი საბრძოლო გაზეთის რედაქტორი პეტრე შამათავა. მისი მიმართვა პიონერებისადმი მოთავსებული იყო პიონერთა სასახლის გაზეთ „გაზაფხულში": „თქვენ, ბაქსანის ხეობაში ჩატარებული ლაშქრობის მონაწილეებმა, დიდი, მოსაწონი საქმე გააკეთეთ: წარმატებით დალაშქრეთ ეს შესანიშნავი ხეობა, გაეცანით მოძმე ხალხთა ცხოვრებას, თანატოლთა საქმიანობას, პატივი ეცით და ცოცხალი ყვავილებით შეამკეთ სამშობლოსათვის თავდადებულ ძმათა საფლავები, მათ პატივსაცემად მხნედ დააგუგუნეთ ჯარისკაცური სიმღერა „კაპიტანი ბუხაიძე".



**სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. სულაქველიძე პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნორჩ მთამსვლელთა ლაშქრობის მონაწილეებთან.**

იმ ბობოქარ დღეებში კავკასიას იცავდა მთელი საბჭოთა ხალხი და ჩვენი გმირი არმია. მამაცთა საბრძოლო მწყობრში სახელოვნად იბრძოდნენ ქართველი ხალხის რჩეული შვილებიც: კაპიტანი მ. ბუხაიძე, პოლიტხელი ვ. კანკავა, უფროსი ლეიტენანტი ა. პირმისაშვილი, პოლიტხელი ვ. ლურსმანაშვილი, უმცროსი ლეიტენანტი პ. სარიშვილი და სხვები. ბევრი ქართველი მეომარი შეეწირა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსების დაცვისათვის ბრძოლას. გვახსოვდეს და მუდამ მოვიგონებდეთ მათ მამულიშვილობას".

●...1975 წლის 10 ივლისი. გაზეთ „პრავდის" ფურცლებზე ძალზე საინტერესო ამბავი იყო მოთხრობილი. მწვერვალ იალბუზზე ასვლისას პიატიგორსკის პედინსტიტუტის მთამსვლელთა ჯგუფმა, რომელსაც დოცენტი ო. პისარევი ხელმძღვანელობდა, ზღვის დონიდან 4.000 მეტრ სიმაღლეზე ყინულქვეშ ნახა სამამულო ომისდროინდელი ტყავის ჯიბის საქაღალდე, რომელშიც აღმოჩნდა მებრძოლ ისაი პავლეს ძე ბერიკაშვილის დოკუმენტები. ამ ღირსშესანიშნავ შემთხვევას მიეუძღვენით ჩვენი ლაშქრობა ყაბარდო-ბალყარეთში სასახლის ნორჩმა მთამსვლელებმა. წავიღეთ მემორიალური დაფა, რომელიც უნდა დაგვედგა იმ ადგილის მახლობლად, სადაც ქართველი მებრძოლის საბუთები იპოვეს.

ჩვენს ლაშქრობაში ი. ბერიკაშვილის თანასოფლელებიც მონაწილეობდნენ: მოსწავლეები იური ბერიკაშვილი, თემურ და თამაზ მახვილაძეები, ომის ვეტერანი, პედაგოგი ვახტანგ ბერიძე, შვილი იმ ათმეთაურის მოადგილისა, რომლის თანდასწრებითაც სადაზვერვო დავალებით სხვებთან ერთად გაიგზავნა რიგითი ჯარისკაცი ი. ბერიკაშვილი. მემორიალის დადგმის დღეს თბილისიდან ჩამოვიდა მისი კიდევ ერთი თანასოფლელი, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. ობოლაძე. აქვეა ალპინიზმის ინსტრუქტორი ი. ხაბულიანი, პიონერთა სასახლის პედაგოგი, ლაშქრობის ხელმძღვანელის მოადგილე, მთამსვლელი თ. ბერიაშვილი. ჩვენთან ერთად არიან ყაზბეგელი მოსწავლეები, მათ შორის გამოჩენილი მთამსვლელის, იალბუზის ერთ-ერთი პირველი დამპყრობის, იაგორ კაზალიკაშვილის შვილიშვილები იაგო და მერი კაზალიკაშვილები, აგრეთვე მეცხრე კლასის მოსწავლე, სპორტის ოსტატ ვ. ქირიკაშვილის ქალიშვილი თამრიკო.

...ნისლი სადღაც ქვევიდან გვეპარება. ცოტა ხნის შემდეგ რამდენიმე მეტრზე აღარაფერი ჩანს. მალე წვიმა იწყება. ცრის. ფეხი ბალახზე ცურავს. მაგრამ დიდი სურვილის წყალობით ვძლევთ ამ სიძნელეს.



ბექნუ ხერგიანი



გაბრიელ ხერგიანი

...დღეს 3 საათზე ჩვენ თერსკოლის პიკზე ვართ. ხან თოვს, ხან წვიმს, ხან უცბად ნისლი გადაიყრება და იალბუზი გამოაჩენს თავის ჭაღარა თავს. ჩვენ წინ გრძელი გზა ჩანს „თერთმეტის თავშესაფრამდე". თერსკოლის პიკზე, 3500 მეტრზე ზღვის დონიდან, იდგმება პიონერთა სასახლის მემორიალი, მიძღვნილი კავკასიის დამცველებისადმი (მოქანდაკე გ. მიზანდარი).

...ქარი მძვინვარებს. 3700 მეტრ სიმაღლეზე, იქ, სადაც ყინულქვეშ ი. ბერიკაშვილის საბუთები ნახეს, მეორე მემორიალი უნდა დაიდგას მისი გვარისა და სადაურობის აღნიშვნით. წარწერა უჟანგავ ფოლადზეა შესრულებული პედაგოგ თ. ბერიაშვილის მიერ. აქ უნდა შევხვდეთ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომელნიც ამ დროისათვის უნდა დაეშვან „თერთმეტის თავშესაფრიდან".

საშინელი სიცივე ძვალ-რბილში ატანს. მემორიალი იდგმება, სტუდენტები გზას განაგრძობენ ქვევით, ჩვენ კი თავს ვაფარებთ ხის სახლს, რომელიც დიდ ლოდებშია ჩადგმული. აქ უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომთა ექსპედიციაა. ექსპედიციის წევრები გულღიად გვხვდებიან.

... მოვიარეთ ადილ-სუსა და ადირ-სუს ხეობები. ხვალ უკანასკნელი ასვლაა — ჩეგეტის მთაზე უნდა ავიდეთ.

დილიდანვე მზიანი ამინდია, თუმცა მთელი ღამე გადაუღებლად წვიმდა. ჩეგეტის მთაზე საბაგირო გზით ამსვლელთა უზარმაზარი რიგი დგას. ამ მთის ფერდობებზე ზამთარში სათხილამურო სპორტის სხვადასხვა სახეობაში საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზობები ეწყობა. საბაგირო გზით ასვლა და შემდეგ იმ სიმაღლიდან დაშვება უდიდესი სიამოვნებაა. აი, ახლაც ვზივარ საბაგირო გზის სავარძელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარშემო საოცარი სიწყნარეა. ქვემოთ დეკას ბუჩქებია, ჰაერში ალპური ყვავილებისა და ბალახების სურნელება ტრიალებს. მწვერვალ ნაკრას ძირში გადის გზა უღელტეხილისაკენ, რომლითაც ნაკრას ხეობაში გადადიან. ამ გზით მოჰყავდათ 1942 წელს დაჭრილები. ამ ადგილებში იყო მძვინვარე ბრძოლები. რამდენის მოწმენი არიან ეს დათოვლილი მწვერვალები — იარალის ქლარუნის, აფეთქებების, სასიკვდილო კვნესისა თუ გამარჯვებულთა ყიჟინისა... ომის შემდეგ კი მწვერვალები ჩვენმა სახელოვანმა მთამსვლელებმა — მიხეილ ხერგიანმა, იოსებ კახიანმა, შალვა მარგიანმა დაიპყრეს. აქვე, იმ მთის გადაღმა სვანეთია. გგონია, ხელით მისწვდები დონღუზ-ორუნის ჯვარივით გამოკვეთილ მყინვარებს. მარჯვნივ კი მთელი სიდიადით ალმართულა იალბუზის ორივე მწვერვალი, შორიდან აქლემის კუზებს რომ მოგაგონებთ, ნისლიან ამინდში კი — ზღაპრულ გოლიათს. დგას იალბუზი და, მჯერა, ყველაფერი ახსოვს...



იალბუზი

# საინტერესო სიახლეები

### ეხმარება მზე

ინგლისელმა ალან ფრიმენმა თავის ველოსიპედს მიამაგრა 98 ფოტოელემენტიანი პანელი, რომელიც მუხტავს თორმეტვოლტიან ბატარეებს. მათი საშუალებით იკვებება ველოსიპედის ელექტრომოტორი. დაგროვილი ენერგია საკმარისია 50 კმ გზის გასავლელად 24 კმ/სთ მაქსიმალური სიჩქარით. მზიან დღეს ველოსიპედისტი ბატარეებს არ იყენებს: ფოტოელემენტების ენერგია უშუალოდ ელექტრომოტორს გადაეცემა. თუმცა, უნდა ითქვას, ამ დროს საგრძნობლად კლებულობს სიჩქარე — 16 კმ/სთ-მდე ეცემა.

### ისევ იალქნები!

„XXI საუკუნე იალქნების აღორძინების საუკუნე იქნება!“ — გვიმტკიცებენ ამერიკული კომპანია „უინდშიპ დეველოპმენტის“ თანამშრომლები. მათი გამოთვლით, სავაჭრო გემებზე დამხმარე იალქანთა გამოყენება 20 %-ით შეამცირებს სათბობის ხარჯს. ცდით დამტკიცდა, რომ თანამედროვე აეროდინამიკის მიღწევათა გათვალისწინებით მოწყობილი იალქნები მათ კლასიკურ წინაპრებთან შედარებით ორჯერ უფრო ეფექტურია. გარდა ამისა, თანამედროვე იალქნის მასალაც გაცილებით მტკიცე გახლავთ. იაპონიაში უკვე ააგეს ტანკერი „სინ აიტოკუმარუ“, რომელიც, მძლავრი დიზელის ძრავას გარდა, თანამედროვე იალქნებითაა აღჭურვილი. ტანკერს ამავე ტიპის სხვა ხომალდებთან შედარებით 22%-ით ნაკლები საწვავი ეხარჯება.

### ჰენიგსდორფელი ახალგაზრდა

ცნობილია, რომ ყველაზე ეკონომიური სარკინიგზო ლოკომოტივი ელმავალია: იგი დიზელებთან შედარებით 8-ჯერ, ხოლო ორთქლმავლებთან შედარებით 12-ჯერ უფრო ნაკლებ ენერგიას ხარჯავს. გდრ-ის სპეციალისტებმა ჰენიგსდორფის ქარხანაში ააწყვეს ახალი ელმავალი, რომელმაც უკვე გაიარა 100 ათასზე მეტი კილომეტრი და გზის ცალკეულ მონაკვეთებზე 140 კმ/სთ სიჩქარე განავითარა.

ლოკომოტივი ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა დონეზეა აგებული. მისი მართვა ზედმიწევნით ადვილია, საკმარისია თითი დააჭირო ღილაკს და — ელმავლის ყველა სისტემა მზად არის სამუშაოდ. შესანიშნავადაა მოწყობილი მემანქანის კაბინა: ხელოვნური მიკროკლიმატი, გარდერობი, პირსაბანი, მაცივარი... მალე დაიწყება ამ ელმავლების სერიული გამოშვება.

### ლაზერი — ლოცმანი

მსხვილი ტანკერი „ვოლგონეფტ-129“ პირველი ხომალდია, რომელმაც გზის მონაკვეთი ვოლგაზე ლაზერული ორიენტირებით გაიარა.

პირველად ლაზერული სისტემა ლენინგრადში, ნევაზე გამოსცადეს, ახლა კი იგი ვოლგაზეც დამკვიდრდა. მისი უპირატესობა განსაკუთრებით ცუდ ამინდსა და ნისლში იჩენს თავს. მკვეთრად მატულობს ცურვის სიჩქარე და მაღლდება უსაფრთხოების დონე, მაშასადამე, იზრდება ტვირთზიდვაც. გამოთვლილია, რომ ლაზერული ორიენტაციის სისტემას მარტო ნევაზე წელიწადში 600 ათასი მანეთის დაზოგვა შეუძლია.

### პალმის ზეთი — საწვავად

მალაიზიაში დააპროექტეს დანადგარი, რომელიც პალმის ზეთს დიზელის საწვავად გარდაქმნის. საყურადღებოა, რომ ახალი საწვავი არ მოითხოვს ძრავების უმნიშვნელო რეკონსტრუქციასაც კი.

ფიქრობენ, რომ პალმის ზეთის გამოყენება იაფი ელექტროენერგიის მისაღებადაც შეიძლება.

### ზღვის წყლისაგან

საუდის არაბეთში შენდება მზის ენერგიით მომუშავე საცდელ-სამრეწველო დანადგარი, რომელიც ზღვის წყალს სასმელ წყლად გარდაქმნის. დანადგარის ღირებულება 18 მილიონი დოლარია, წარმადობა — 200 ტონა მტკნარი წყალი დღეში.




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 7

## კვნესოდნენ ყვავილები

„წკაპ, წკაპ“, — ისმის გარედან. ნელი სიოც უბერავს. მაგიდასთან ვზივარ, წინ მიდევს თეთრ ფურცელზე დახატული პეიზაჟი, დავცქერი ნახატს და მლოცველივით ვჩურჩულებ. და აი, რას ვხედავ:

უზარმაზარ ველზე მიედინება ადიდებული მდინარე. ყვავილებით მოჩითული მწვანე ბალახი ხალიჩასავით გაფენილა. ქარის ქროლვაზე ბალახი ბიბინებს და ფოთლები შრიალებენ, თითქოს შიშისაგან ცახცახებენ. ცვრიან მიწას მკაფიოდ ამჩნევია ბავშვების ნაკვალევი. ნაკვალევზე ბალახები მიწას გართხმიან. ისმის მათი უძლური კვნესა. შორს ის ონავარი ბავშვები ჩანან. ერთ მათგანს ფეხის ტერფი გვირილის ღეროზე მიუჭყლეტია და ნელ-ნელა აწევება. აგერ, ყვავილი შეტორტმანდა, აცახცახდა, ცრემლი ჩამოუგორდა. სცადა, როგორმე შეენარჩუნებინა წონასწორობა, მაგრამ ამაოდ. განწირული ყვავილი წაიქცა, ნამიან მიწას ჩაეკონა. თავი ძლივს წამოსწია ოდნავ, ნაწყენი, ცრემლიანი თვალი გააყოლა უდარდელ, მხიარულ, სიცოცხლით სავსე ბავშვებს, და სული განუტევა.

ვიჯექი დაფიქრებული და მესმოდა ყვავილისა და ბალახის კვნესა...

მარია თოფალაშვილი,
აზერბაიჯანის სსრ, კახი, ალიბეგლოს საშუალო სკოლა, IX კლასი.

## შემოდგომა

გაიელვა. ცაზე ბაიასფერი ხაზი გაიკლაკნა... ცივმა ქარმა დაუბერა და გაყვითლებული ფოთლები ბზრიალ-ტრიალით ჩამოყარა ძირს. სევდიანად აყოლებდნენ ფოთლებს მზერას მწუხარე ხეები და უხმოდ კვნესოდნენ.

დედამიწა თუშურ ხალიჩას დაემსგავსა, ფოთლები, ზაფხულში ამაყად მოშრიალე ფოთლები, უმწეოდ ჩიოდნენ...

— წკაპ... წკაპ... წკაპ...

წკაპუნით დაიწყო წვიმა. ჯერ აქა-იქ ჩამოყარა შავმა ღრუბელმა ცრემლები, მერე უფრო მონდომებით წამოუშინა.

აივანზე გადმომდგარი შემკრთალი გლეხკაცი ვენახს, ქარვისფრად მოღაღანე მტევნებს აევდრებდა განრისხებულ ზეცას. „სეტყვა რომ დაიწყოს“... — თვითონვე შეეშინდა ნაფიქრალისა... მაგრამ უსმინა სტიქიამ, დაინდო შიშნარევ მოლოდინში გასუდრული ვაზი.

განთიადისას შეწყვიტა ტირილი ზეცამ. გადავრჩით, — შვებით ამოისუნთქა გლეხკაცმა და აპრილის მზესავით გაუნათდა სახე.

ირმა ფარსადანოვი,
თელავი, მე-7 საშ. სკოლა.

### ცა

ცა, ცა, ცა...
კამკამა, ცისფერი ცა, —
ხანდახან უსაზღვროდ ნაზი
და ხან — ამღვრეული ზღვა.
არ ვეტრფი არაფერს ისე,
არ მიყვარს არავინ სხვა,
როგორც ეს ზღვასავით ლურჯი,
უღრუბლო, დიადი ცა.
ცა, ცა, ცა...
კამკამა ცისფერი ცა,
ხანდახან უსაზღვროდ ნაზი
და ხან — ამღვრეული ზღვა.

### ზამთარი მოდის

ზამთარი მოდის,
ცვივა ციდან თეთრი ფიფქები,
მოდის და მოაქვს
სიხარულით სავსე ფიქრები.
მოდის და ხატავს თეთრი ფუნჯით
ირგვლივ მიდამოს,
რომ თოვლის მოსვლა
ყველა ბავშვმა ერთად იწამოს.
ზამთარი მოდის
ციგებით და თოვლის გუნდებით,
რომ დაახუროს სახურავებს
თეთრი ქუდები.
ზამთარი მოდის,
ცვივა ციდან თეთრი ფიფქები.
მოდის და მოაქვს
სიხარულით სავსე ფიქრები.

მაია მღებრიშვილი,
საგარეჯო, 1-ლი საშუალო სკოლა, VIII კლასი.

### შემოდგომა

გაზაფხული მოგვეპარა,
დადგა თბილი დღე,
იამ გამოიღვიძა და
მომესალმა მეც.
გამარჯობა, გაზაფხულო,
გამარჯობა მხნევ,
მოგვიტანე ყვავილები
და ცხრათვალა მზე.

ირმა სისაური
თბილისი, მე-12 საშუალო სკოლა, IV კლასი.

### ჩემი შავი მურია

ჩემი შავი მურია
ო, რა უმადურია —
მხოლოდ მაშინ იღვიძებს,
თუ შია ან სწყურია.
კარგად რომ დანაყრდება,
აღარ უნდა თამაში,
ფხიზელი და მარჯვეა
მარტო ხორცის ჭამაში.

### ბოლო დღე ზღვაზე

საამური სიმწვანეა,
საოცნებო კორდები,
ნაპირს ხალხი შესევია,
მე კი გემშვიდობები...
შენს ტალღებში ვნებივრობდი,
ციდან სხივი ცვიოდა...
სიცილსა და სიხარულში
დრო სწრაფად გადიოდა...

მაია ოჩიგავა,
თბილისი, 167-ე საშუალო სკოლა, VII კლასი.



ეროვნული ბიბლიოთეკა


ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარი ქრის
ნატო გუჯეჯიანი,
ზუგდიდი, მე-10 საშ. სკოლა,
VII კლასი.

## სიცოცხლეში იზრუნო უნდა

როგორიც უნდა ურწმუნო იყო,
ანდა უგულო,
ავისმზრახველი,
ქურდბაცაცა,
ბოროტი თუნდაც,
მიქელ-გაბრიელი რომ მოგიხმობს,
იგრძნობ, რომ გინდა,
სიკვდილის მერე
მოგიგონონ არც ისე ცუდად.
მაგრამ ამაზე
სიცოცხლეში იზრუნო უნდა.

ყანაში სისხლივით
შელვრილა ყაყაჩო,
ბილიკზე მიფოფინებს
საღამოს ბინდი.
წითელკაბიან პატარა ქალბატონს
ფრთხილად ეცეკვება ნიავი გრილი.

დღეს მთელი დღე შეუწყვეტლად
წვიმდა,
გულსაკლავად ქვითინებდა ზეცა.
გვიან ღამით გადაიღო წვიმამ,
სველი კაბა დაიბერტყა ვერხვმა.
მერე ღრუბლებს შეეპარა შუქი,
ფრთხილად, ფრთხილად ამოვიდა
მთვარე
და გედივით გამოცურა ცაზე,
თან იფშვნეტდა ნამტირალევ
თვალებს.

წვიმა ცრემლივით ჩაიგუბეს
ხმელმა ფოთლებმა,
ლამის წამლეკოს
შემოდგომის უსაზღვრო სევდამ,
ყვითელ ტაძარში ფეხმორთხმული
ლოცულობს ქარი,
შორს გადამალეს გაზაფხული
შავმა მერცხლებმა.

მზიანი დღე
თეა მჭედლიძე,
თბილისი, 90-ე საშუალო
სკოლა, III კლასი.

მთიდან დაეშვა თეთრ ჩოხაში
ჩაცმული ნისლი.
ჩვენში დარჩეს და,
ალარაფრის რიდი არა აქვს.
ჩუმად მოვიდა და თოვლივით
ქათქათა ხელი
წელზე თამამად შემოხვია
ციხის გალავანს.

მაია გაგუა,
თბილისი, 57-ე საშუალო სკოლა.

## გაზაფხული

წავიდა სუსხიანი ზამთარი და თან წაიღო ყინვა და სიცივე. დადნა თოვლი. ყვავილებმა თავი ამოყვეს და მიმოიხედეს, აყვავდა ნუში, ატამი, ვაშლი, ალუბალი. ისე ცვივიან ყვავილები ქარის წამოქროლაზე, ისევ თოვლი წამოვიდაო, გეგონება. მალე ყვავილების მაგივრად მწვანე ფოთლებით შეიმოსნენ ხეები. ნაკადული მორაკრაკებს და პირს ბანს გაზაფხულის ყვავილებს. მიწა, ფაფუკი თოვლის ნაცვლად, მწვანე ხავერდით დაიფარა. პეპლები ყვავილებთან დაფართფატებენ. იასამანი, ზამბახი, ია, ენძელა ამშვენებს მიდამოს.

ჩიტების საამურმა ჭიკჭიკმა ხომ საერთოდ გაამხიარულა არემარე. მერცხლები ნისკარტით ეზიდებიან ბალახს და ბუდეებს იკეთებენ. ზოგიც თავის ძველ ბუდეს უბრუნდება. ვუყურებ და მიხარია.

მანანა უსტარაშვილი,
თბილისი, 159-ე საშუალო
სკოლა, VII კლასი.





# დედის ხმა

ლეილა მესხი

მხატვარი ზურაბ ხუმბაძე

მოთხრობა

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა...

ომი იყო. შიშის ზარი სცემდა სოფელს, ქვეყანას... ამ შიშით იღვიძებდა და იძინებდა დედა. ყველაფერი აკრთობდა, ფრონტიდან გამოგზავნილი სამკუთხა ბარათები („ვაი, რა წერია შიგ!“), მთის ფერდობზე შეფენილი სოფლის მოთქმა და ვიში, უნავთოდ ფითილჩამწვარი ლამპის სუსტი პარპალი, ეკალ-ბარდებში გაბნეული მარჩენალის შორეული ზმუილი და, ყველაზე მეტად, ორი ენძელა გოგოს ღამეული სიცხე და ბოდვა.

გაუთავებელი შიში იჯაბნიდა და იმორჩილებდა მას. ამ დაჯაბნის თუ დამორჩილების კვალი მხოლოდ მოგვიანებით შევიცანით. როცა ომი დამთავრდა და ცალუღლელად დარჩენილი, ჯერაც ახალგაზრდა დედა, მთლად ჭაღარა და სახენატანჯი შეგრჩა ხელში.

იმ წლებიდან ყველაზე მეტად ერთი დღე დამამახსოვრდა, ჩემი ბავშვობის ტკბილ-მწარე დღე...

სოფლიდან რაიონის ცენტრამდე ექვსი კილომეტრი იყო, მინდორ-მინდორ, ჭალა-ჭალა სავალი გზა. დილიდან დავადექით ამ გზას... წინ დედა და „ნუგეშა“ მიდიოდნენ, უკან — ჩვენ და ბოჩოლა. ახლაც შიში აკრთობდა დედას, ბავშვები დამეღლება და დილის ბაზარს ვეღარ ჩავუსწრებო. მაგრამ რისი დაღლა, ჩვენი კისკისი იკლებდა იქაურობას. ამ მხიარულების მიზეზი ბოჩოლა იყო, უწყინარი და კუნტრუშა. ხან წინ გაგვიხტებოდა, ხან უკან ჩამოგვრჩებოდა.

ჩალისფერი „ნუგეშა“ დედას მოყვებოდა. არც ეურჩებოდა, არც განზე იწევდა, თითქოს წინასწარ იცოდა, სად მიჰყავდათ და რატომ. მინდორ-ველი თუ თავაწეულმა გაიარა, ქალაქს რომ მივუახლოვდით, თითქოს დაძაბუნდა, მალიმალ მოიხედავდა უკან, მავედრებელ მზერას შეავლებდა დედას. დედაც გრძნობდა მის გამოხედვას, ამიტომ იყო, არც ნაბიჯს ანელებდა და არც გაუთავებელ ბუტბუტს წყვეტდა: „რა ვქნა. შენს გაყიდვას სიკვდილი მირჩევნია, მაგრამ სხვა გამოსავალი რომ არა მაქვს? მჭადი უნდა ვუყიდო ბავშვებს, ცოტა ნავთი, მარილი და საპონიც უნდა მოვიმარაგო. ბავშვებს კალოშები და წინდები სჭირდებათ, ჩემს თავს არ დავეძებ. მთავარი მაინც სახურავია, თუ არ შევაკეთე, დამემხობა თავზე. მერე ეგებ დამთავრდეს ეს დასაქცევი ომი და კაციც ჩამოვიდეს...“

დარდის ტვირთს მოეხარა დედა. თავდახრილი მიდიოდა „ნუგეშაც“, თითქოს მისი ყოველი სიტყვა ესმოდა...

— დედა! რვეულებს არ მიყიდი? — უკვე მერამდენედ ეკითხება ლალი — ჩემი უფროსი და. იგი მეოთხე კლასში სწავლობს.

— გიყიდი.

— წიგნებს?

— წიგნებსაც.

— მე, დედა? — ვერ ვისვენებ.

— შენც...

წელს პირველად მივდივარ სკოლაში.

სოფლის ორღობე მოკირწყლულმა ქუჩებმა და კოპწიად ჩამორიგებულმა სახლებმა შეცვალეს, გზის პირას არხში წყალი მოჩუხჩუხებს. ეტლები და ფაიტონები მიმოდიან, მანქანები იშვიათად ჩანს.

კვირა დღეა. პატარა დაბამ დიდი ვაჭრობა იცის. ხალხმრავლობაა. შაოსანი ქალები ჭარბობენ.

— არ მომცილდეთ! — გვაფრთხილებს დედა.

ბოჩოლა თავის დედას აკვრია, ჩვენ — ჩვენს დედას. როგორც იქნა, ჩათავდა დარაბების გრძელი რიგი — სადალაქო, სახარაზო, სათუნუქე.

ჯგუფ-ჯგუფად მიმავალ ხალხს გავყევით და ერთბაშად ბაზარში აღმოვჩნდით. ამდენი ურემი, პირუტყვი, ფრინველი, ადამიანი ერთად არასდროს მენახა.

— ხელი ჩაკიდეთ ერთმანეთს! — — ჩაგვჩურჩულებს დედა.

— უი! ქოშები! — შედგა ლალი. ხის ძირზე სალტეგადაკრული ბაკუნა ქოშები გამოეფინათ, ყველა ზომის, დიდებიც და პატარებიც.

— გამოიარე! — შეუწყრა დედა.

— მამალი! ქვემეხი! ტანკი! — იყვირა ვიღაც თმაგაჩეჩილმა კაცმა, ხელში ჯოხზე წამოცმული „მამლები“, „ქვემეხები“ და „ტანკები“ ეჭირა, ტკბილი, წითლად დაფერილი.

— გაიყიდა, აღარ დარჩა! ვინც იყიდა, ის გადარჩა! — ყვიროდა იგი. ახლა მე გამექცა მზერა. ოდნავ შევანელე ნაბიჯი, მოვიხედე, დედა აღარ ჩანდა! შიშმა დამზაფრა. ის იყო უნდა მეღრიალა, თვალი ვკიდე, შორს, გვერდიგვერდ ჩამორიგებული ურმების ახლოს, დედა იდგა და ხელს მიქნევდა. ისე დანატრებით გავექანე, თითქოს დიდი ხნის უნახავი მეპოვოს.

— შეგეშინდა? — სიყვარულით ჩამხედა თვალებში.

— ჰო.

სულ ახლოს ღორების ღრუტუნი და ქათმების კრიახი ისმოდა.

ბაზრის კედელთან, გრძელ რიგად,

წითლად გამომწვარი კრამიტი ეწყო, მყიდველი მისეოდა.

დიდმა ქარიანობამ კრამიტი დაგვიმტვრია, ცალ-ცალობით ჩამოყარა ძირს. მერე წვიმამ დაუშვა და სახურავიდან ჩამოსულ წყალს ისეთი წკაპაწკუპი გაუდიოდა, თითქოს შუა ეზოში გაგვეშალოს საწოლი.

— დედა, კრამიტი! — უჩურჩულა ჩემმა დამ.

— ჰო, შვილო, ვხედავ.

საქონლის ბაზარი გამოჩნდა.

ჩვენი ნაფერები ბოჩოლა, მთელ ზაფხულს მწვანე ბალახით რომ ვაპატიებდით, ამდენ მოზვრებსა და დეკეულებში ისეთი უმწეო და გალეული გამოჩნდა, თითქოს მთელი თვე ეშიმშილოს. არც „ნუგეშა“ იყო კარგ დღეში. ფერდებჩაცვენილს ცური შეჭკნობოდა. კოკობა რქები სარქენლად შეემართა. მალიმალ მოხედავდა ბოჩოლას, თითქოს შიშობდა, შვილი არ წამართვანო.

ჩვენი გამოჩენა, უგერგილო დგომა უმალ იყნოსეს მყიდველებმა. აგვივლიან და ჩაგვივლიან, მუშტრის თვალით გვამოწმებენ თითქოს ყველანი, დედა — გოგონებით, „ნუგეშა“ — ბოჩოლათი გასაყიდად გამოვსულიყვეთ.

უცებ მყიდველებს შორის ახმახი, შავულშავა კაცი გამოჩნდა. ჩვენკენ გამოემართა. ყველაზე მეტად მისმა გაწითლებულმა ხელებმა და ფართოდ მოღებულმა პირმა შემაშინა. ვერ მივხვდი, ვინ იყო ან რა უნდოდა. მომეჩვენა, რომ ზღაპრიდან გადმოსული დევი იყო, თავს რომ ჰრიდნენ და მაინც ეზრდებოდა. „ნუგეშას“ წაავლო ხელი, მოქაჩა. ჯიში და წლოვანება იკითხა. მორიდებით პასუხობდა დედა. ამასაც არ დასჯერდა. შემოუარა პირუტყვს, ცურზე წაავლო ხელი. მერე პირი გაუღო, კბილები დაუთვალა.

ენაგადმოგდებული მარჩენალი ვედრებით შემოგვცქეროდა. კაცი ახლა ბოჩოლას მისწვდა. ხორცი დაუჩქმიტა. აბღავლდა ხბო. დები შევკრთით, ავიწურეთ. ჩვენი აწურვა უმალ იგრძნო დედამ.



— აფთიაქს მიაგნებ? — უჩურჩულა ლალის.

— კი. დეიდასთან გვაგზავნი?

— ჰო. იქ დამელოდეთ.

— კარგი.

გრძელ მაგიდაზე გაფენილ მწვანილს, წიწმატსა და ოხრახუშს სირბილით ჩავუქროლეთ.

— ცივია! — ვიღაცამ ყურში ჩამჩჩქა.

წითელპერანგა ბიჭს წყლით სავსე დოქი ეჭირა. დადიოდა და მწყურვალ ხალხს წყალს ასმევდა.

— მწყურია...

ჩემი ჩურჩული თითქოს მისწვდა ბიჭს. შედგა, გაოფლილი სახე ხალათის პირით შეიმშრალა, დოქი მუხლზე ჩამოიდო და ჩამოასხა. სავსე ფინჯანი მომაწოდა. ჩვენი სოფლის წყაროზე უფრო ცივი და გემრიელი მეჩვენა.

ხელიხელჩაკიდებული, კუს ნაბიჯით მივიწევთ წინ. მოხვავებული სანახაობის, ჯერაც უსმენარი ხმების დათმობა გვიძნელდება.

ყასბების კუთხეს რომ ჩამოვუარეთ, დახლზე, ხორცის ნაჭრებს შორის, ხბოს თავი შევამჩნიეთ — ყელზე სისხლი შეხმობოდა. შუბლზე აფერადებული თეთრი ნიშნით ბოჩოლას მივამსგავსეთ. ამ მსგავსებამ შეგვაკრთო და შეგვაშინა. ნაბიჯს ავუჩქარეთ. ბაზარი გავლიეთ და მოკირწყლულ ქუჩას სირბილით გავყევით. ქუჩის ბოლოს აფთიაქის ნაცრისფერი შენობა გამოჩნდა.

წამლის მომლოდინეთა რიგში აქაც შაოსანი ქალები ჭარბობდნენ. სალაროს ოთხკუთხედში მიმწყვდეულ თეთრხალათიან ქალს თვალები შევანათეთ.

— კაჭუ! შენი დისშვილები მოვიდნენ! — გაისმა ხმა.

— უი! მაგათ ვენაცვალე... — სადღაც სიღრმეში გაიწკრიალა ნაცნობმა ხმამ.

თაროებზე ჩამორიგებულ წამლის შუშებს შორის კეფაზე ნაწნავებშემოხვეული, მოღიმარი და ალერსიანი ჩვენი დეიდა გამოჩნდა.

მის თეთრ ხალათს, თბილ თითებს კამისა და ძირტკბილას სურნელი ასდიოდა, ტკბილი და ძნელად დასავიწყები სურნელი. გულში ჩავეკრა. ყველაფერი ვუამბეთ, როდის ჩამოვედით, დედა სად დავტოვეთ.

დეიდამ მაგიდის უჯრა გამოაღო და თეთრ ქაღალდში გახვეული ყავისფერი მასა ამოიღო, შუაზე გაყო.

— რა არის? — ვუჩურჩულე ლალის.

— ჰემატოგენი.

იგი იცინის და თვალებს წუწკ ფისოსავით ნაბავს. ჰემატოგენის გემო არ ვიცი, მაგრამ წინასწარ ვგრძნობ, რა სიამეც მელის. დეიდამ ხელები დაგვაბანინა და ფანჯარასთან დაგვსხა.

მზე ჩასასვლელად მოემზადა. ჩაიარეს მგზავრებმა, აჭყივლებული გოჭი ჩაატარეს. მთვრალი კაცები გამოჩნდნენ. ერთმანეთს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ. ერთს მკერდი ორდენებით ჰქონდა სავსე, ცალი ხელით ყავარჯენს ეყრდნობოდა, ბორძიკობდა.

დედა კი არ ჩანდა. დეიდა ხან წამლის გრძელ რიგში ჩამდგარ გაფერმკრთალებულ ადამიანებს გახედავდა, ხან ჩვენ — ფანჯარასთან მტრედებივით ჩამომსხდარ გოგონებს.

— რატომ დაიგვიანა? — წუხს დეიდა.

— წავალ, ვნახავ! — წამოხტა ჩემი და.

— მეც!

ნირი შეცვლოდა ბაზარს, დაცარიელებულიყო, აღარავინ ჩანდა. სადღაც შორს ბებერ, რქამომტვრეულ ხარს მიერეკებოდა ლურჯხალათიანი ბიჭი. წასულიყო მამლების გამყიდველი თმაგაჩეჩილი კაცი. სათითაოდ აელაგებინათ წითლად გამომწვარი კრამიტი. აღარც „ცივია!“ ისმოდა. ყველას შინისაკენ ექნა პირი.

ლალის გავხედე. სმენადაძაბული, გაშეშებული, ხმებს აყურადებდა. მერე გაიქცა. ვიწრო მოედანზე, დილით სიმინდს რომ ყიდდნენ, ხალხი ერთ კუთხეს მისეოდა. გულშეწუხებულს აბრუნებდნენ. იყო წუწუნი, ყაყანი, ტირილი. მილიციელიც იქ იდგა, ექიმიც.

ხმები ისმოდა:

— საცოდავი...

— ჰაერი ასუნთქეთ, ჰაერი...

წამიერ სიჩუმეში, საერთო წუწუნსა და მიეთმოეთში ერთბაშად უცხო ხმამ გაიჟღრიალა. ამდენი წელი გავიდა და თითქოს ახლაც ჩამესმის ის ხმა, ცრემლით, ტკივილით, სიმწრით ნაზავი ხმა:

— ვაიმე, შვილებო! ვინ დამღუპა... ვინ დამაქცია...

პირველად მომეჩვენა, რომ უცნობმა ქალმა შვილები დაკარგა და მათ კვალს მისტიროდა.

— საცოდავს მარჩენალი ძროხა გაუყიდია, სანამ სიმინდს იყიდდა, ფული ამოაცალეს.

ვერაფერს მივხვდი, ოღონდ რალაც უსიამოდ ამიწრიალდა გული. შეჯგუფულ ბრბოში წვალებით მიიწევდა ჩემი და. მე უკან მივყვებოდი. კიდევ ცოტა და, დავინახავდით უცნობ ქალს.

— ვაიმე, შვილებო! თქვენ მოგიკვდეთ ჩემი თავი! — მოთქვამდა იგი. როგორც იქნა, მივაღწიეთ. ფეხის წვერებზე ავიწიე და... თვალთ დამიბნელდა!

ის ქალი ჩემი დედა აღმოჩნდა. ჩემი საბრალო დედა!

— დედიკო! — იწივლა ჩემმა დამ.

მეტი აღარაფერი მახსოვს. ცრემლმა გადაფარა სივრცე...

ახლა, როცა შორიდან ვუცქერი იმ ატირებულ სამეულს, ფერგაცრეცილ დედასა და ორ ნამლევა გოგოს, გული სევდით მევსება, ვფიქრობ, იმ გარს შემოსეულ ადამიანებში, ერთიანად აწრიალებულ, აქოთქოთებულ ბრბოში, ერია თუ არა ჩვენი დამღუპველ-დამაქცეველი, და თუ ერია, რა გული ან რა გრძნობა ჰქონდა...

ან ჰქონდა კი გული და გრძნობა?!



# სპორტი — [illegible] ცნობილებში

**პეპი ბოჭორიშვილი**

კარლო ბალავაძის ფოტოები

ბავშვებს ვკითხე, რაღა მაინცდამაინც წყალბურთი აირჩიეთ-მეთქი. ისინი უკვე წყალში იყვნენ, ღია აუზში, ალბათ სციოდათ კიდეც, მაგრამ ბავშვები ზრდილობიანები იყვნენ და თითოეული მათგანი თავის ჯერს ელოდა საპასუხოდ. ამიტომაც ბიჭები რიგ-რიგობით წევდნენ წყლიდან ხელს, — თუ შეიძლება, ახლა მე მკითხეთო.

ერთმა თქვა: „წყალბურთი იმიტომ მიყვარს, რომ ლამაზი თამაშია“.

მეორემ: „იმიტომ, რომ მამაჩემი თამაშობდა წყალბურთს.“

მესამემ: „იმიტომ, რომ ვარჯიშის შემდეგ გემრიელად მაჭმევენ“.

მესამე ყველაზე მსუქანი ბიჭი იყო.

როგორც ხედავთ, ყველამ სხვადასხვა მიზეზით აიღო ხელში ნარინჯისფერი ბურთი.

ახლა ვნახოთ, ვინ ითამაშა წყალბურთი პირველად და რატომ.

„წყალზე ბურთის ხელით თამაშის“ (ასე იშიფრება ინგლისური სიტყვა „Waterpalo“) შემქმნელად ინგლისელები ითვლებიან. ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ პირველი თამაში „წესების დაცვით“ გაიმართა 1874 წელს ლონდონის აუზში „კრისტალ პალასი“. თუმცა იაპონელებმა, რომლებიც, მართალია, ვერ კი ბედავენ უკვე დამკვიდრებული აზრის სადავოდ ქცევას, შესაფერისი შემთხვევა რომ მიეცათ, მაინც განაცხადეს, რომ მათ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჰქონდათ თამაში, რომლის დროსაც ცარიელ კასრებზე ამხედრებული მამაკაცები ჯოხით ზღვის ზედაპირზე ათამაშებდნენ ბურთს. რით არ არის ეს გართობა ვატერპოლო?

მაგრამ ინგლისელები თავისას არავის დაუთმობენ. მით უმეტეს,



ბავშვთა სპორტული სკოლის „ნორჩი დინამოელის" მწვრთნელი ბორის მარგიევი თავის გუნდთან ერთად.

# წყალი+ბურთი=წყალბურთი

რომ შოტლანდიელი უილიამ ვილსონის დაწერილმა ვატერპოლოს პირველმა ოფიციალურმა წესებმა ჩვენამდე მოაღწია, თუმცა ერთგვარი ცვლილებებით.

რუსეთში წყალბურთი საუკუნის დამდეგს გამოჩნდა და მაშინვე მოიპოვა პოპულარობა. სპორტულ-საჩვენებელ დღესასწაულებზე, რომლებიც რევოლუციამდე პეტერბურგის მახლობლად, შუვალოვოში იმართებოდა, ვატერპოლისტების საჩვენებელ მატჩებსაც ატარებდნენ.

1931 წელს კი წყალბურთი საკავშირო კომპლექსის „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის" ნორმატივებში იქნა შეტანილი.

საქართველოში ოფიციალური შეჯიბრებები 1927 წლიდან ტარდება. ადრე ამ თამაშისათვის გამოსადეგი აუზები არ არსებობდა და მატჩები საწყლოსნო სადგურებზე, ზღვის სანაპირო ზოლზე იმართებოდა. ზოგჯერ ისეც ხდებოდა ხოლმე, რომ მსაჯი (მაშინდელი წესებით თამაშს ერთი რეფერი მსაჯობდა) ნავში ჯდებოდა და ისე დაცურავდა მოედნის გვერდითი ხაზის გასწვრივ.

რატომ მოიკიდა ამ თამაშმა ფეხი და რატომ უყვართ იგი აგრერიგად? იმიტომ, რომ წყალბურთი სანახაობრივად მიმზიდველია, ჰარმონიულად ავითარებს სხეულის ყველა კუნთს, უმუშავებს სპორტსმენს შესანიშნავ რეაქციას, ამტანიანობას, ძალას...

ერთი სიტყვით, ეს ნამდვილი მამაკაცების თამაშია.

ვითომ? მგონი, ვცდები, იმიტომ, რომ წყალბურთს ქალიშვილებიც თამაშობენ, და თანაც დიდი ხანია. როდესაც შარშან თბილისში ჩამოყალიბდა წყალბურთელ ქალთა პირველი გუნდი, ბევრმა იგი „პირველ მერცხლად" მიიჩნია. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ქალთა წყალბურთსაც კარგა ხნის ისტორია აქვს.

20-იანი წლების დამლევს მთავარი ბრძოლა მოსკოვისა და ლენინგრადის ქალთა გუნდებს შორის მიმდინარეობდა. მაშინ წყალბურთელი ქალები ერთგვარ გაკვირვებას იწვევდნენ. ერთ-ერთმა სატირულმა ჟურნალმა ასეთი ნახატიც კი დაბეჭდა: ვატერპოლისტი ქალები ერთმანეთს თმებში ჩაფრენიან. მაგრამ როდესაც, 1935 წელს, ჩვენი მამაკაცების ნაკრები გუნდი ამხანაგურ მატჩს მართავდა ნორვეგიაში და სხვადასხვა მიზეზით მოთამაშეები დააკლდა, ქალებმა წარმატებით შეცვალეს ისინი. გუნდმა გაიმარჯვა, და წყალბურთელმა ქალებმაც სამუდამოდ მოიპოვეს პატივისცემა.

თუმცა, მოდით, ისევ ჩვენს ბიჭებს დავუბრუნდეთ, თორემ გაიყინენ, რა ხანია, ცივ ჰაერში ხელს წევენ, რომ შემდეგ შეკითხვაზე მიპა-



გულმოდგინე წვრთნას, ვარჯიშს მომავალი წარმატებები მოსდევს.

სუხონ: „ვის გულშემატკივრობთ?“ რა სასაცილოები არიან ბიჭები — ხომ შეეძლოთ, ყველას ერთად ეპასუხნა — „თბილისის დინამოსო“.

საქართველოს წყალბურთელთა საუკეთესო გუნდი „დინამო“ 1938 წ. ჩამოყალიბდა. ამ კოლექტივში გაიზარდნენ ისეთი შესანიშნავი ოსტატები, როგორებიც არიან პეტრე მშვენიერაძე, პეტრე ბრეუსი, გიორგი ხარებოვი, დური გოგოლაძე, გივი ჩიქვანაია, ვლადიმერ ისელიძე. აქ დაიწყო წყალბურთის შემდეგში საყოველთაოდ აღიარებული სპეციალისტების, სსრკ დამსახურებული მწვრთნელის მიხეილ რიჟაკის, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის ვლადიმერ რაშმაჯანის, ზურაბ ჩაჩავას, ბორის მარგიევისა და სხვათა გზა.

შემიძლია ციფრებიც მოვიყვანო: ქვეყნის 28 ჩემპიონატის 529 მატჩში თბილისის „დინამომ“ 2427 გოლი გაიტანა. ამ ხნის განმავლობაში თბილისელები ორჯერ გახდნენ ვერცხლის პრიზიორები, სამჯერ ბრინჯაოსი, ოქროსი კი ჯერჯერობით არც ერთხელ.

— შევვიძლია თუ არა 1985 წლის ჩემპიონატში პირველი ადგილის დაკავების იმედი ვიქონიოთ?

ბავშვებმა თავები ჩაქინდრეს და ხელები დაუშვეს. არავინ მოინდომა პასუხის გაცემა. დიახ, თუმცა მხოლოდ შემოდგომაზე გაირკვევა, იმ უძლიერესი ექვსეულის ვინაობა, რომელსაც შეეძლება სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში მოსახვედრად იბრძოლოს, ნათელია, რომ სიურპრიზები ჩვენი გუნდისთვის არ მოხდება. ახლა მთავარია უძლიერესთა ექვსეულში მოხვედრა. თამაში იმით არის კარგი, რომ წინასწარ დაბეჯითებით ვერ იტყვი აქვს თუ არა ჩვენს გუნდს შანსი, უძლიერესის სახელი მოიპოვოს?

ალბათ აქვს. თბილისის „დინამოში“ არაერთი ტექნიკური, მაღალი კლასის მოთამაშეა. მათ შორის ყველაზე ტიტულოვანია სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიო ჩემპიონი და მსოფლიოს უნივერსიადის გამარჯვებული, მეკარე მიხეილ გიორგაძე. მიხეილი სსრკ ნაკრების წევრია და როცა იგი ქვეყნის ღირსებას იცავს, ჩვენს გუნდში მას საიმედოდ ცვლის სპორტის ოსტატი გელა ტუკაძე. ჭკვიანურად, რაციონალურად თამაშობს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი დევი გვახარია. მოწინააღმდეგისთვის „ძნელი“ მოთამაშეა მაღალტექნიკური თავდამსხმელი თამაზ კუტივაძე. თამაზი ცაციაა. ეს თვისება არცთუ იშვიათია, მაგრამ ძალზე სასარგებლოა წყალბურთში. მარცხენა ხელით თამაშობდნენ ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონები, უნგრელები დეჟე დიარმატი და კალმან მარკოვიჩი. ცაციაა სსრკ ნაკრები გუნდის თავდამსხმელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გიორგი მშვენიერაძე. სწრაფი და ეშმაკი მოთამაშეა გია ზუმბულიძე, გამოცდილი წყალბურთელები არიან გელა ქათამაშვილი და გიორგი კილუაშვილი. ბევრია ჩვენს გუნდში ახალგაზრდა პერსპექტიული მოთამაშეც, ესენი არიან კახა კანდელაკი, მოთა ბალათურია, ალეკო ნიკოლაიშვილი, ალეკო გიორგაძე და ვალიკო ცოტაძე.

გუნდის კაპიტანი, აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია, დავით რურუა გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ იგი გუნდში ყველაზე უფროსია, მაინც ყველაზე სწრაფია. თუ პერიოდის დასაწყისში წყალბურთელთა მწკრივში ბურთის პირდაპირ რურუაა, ეჭვი არავის ეპარება, რომ ბურთი სწორედ მას ერგება.

ალბათ ყველა ნორჩი წყალბურთელი ოცნებობს რესპუბლიკის პირველ გუნდში მოხვედრაზე.

ამიტომაც ვარჯიშობენ ასე მონდომებით ბიჭები ბათუმსა და სოხუმში, ქუთაისსა და რუსთავში — ყველგან, სადაც არსებობს წყალბურთის სექციები.

შრომა, შრომა და კიდევ შრომა — ეს გახლავთ წარმატების საწინდარი! ან, იქნებ, სხვა რამ „საიდუმლოება“ არსებობს?

გვინდოდა, ბორის მარგიევის სექციის ბიჭებისთვის გვეკითხნა ამის შესახებ, მაგრამ მათ უკვე აუზის სიღრმეში გაცურეს — მორიგი ვარჯიშში დაეწყოთ.



# ჩაპეპეჩის წერილი

ფრიდრიხ ვოლფი

მხატვარი გივი პეტრიაშვილი

მოთხრობა

ამ ამბავს ბავშვები დიდი საიდუმლოებით ინახავდნენ. და აი, რა მოხდა.

ქალბატონი ენლი, რომლის ქმარიც კორეაში უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ხშირად ესაუბრებოდა მამაზე თავის შვილს. დედა პატარა ილეს ცრუ სიტყვებით კი არ ანუგეშებდა, მომხდარ ამბებს სიმართლით მოუთხრობდა, თანაც დასძენდა, რომ ახლა მთავარი იყო სხვა ბავშვების მამებისათვის ბრძოლა, ბრძოლა მშვიდობისათვის. მან შვილს უჩვენა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბერლინის სხდომათა ფოტოები, სადაც ამერიკის დელეგაციაც იყო აღბეჭდილი. მოწოდებაც წაუკითხა. გოგონამ, ცხადია, ყველაფერი ვერ გაიგო, მაგრამ იმას კი მიხვდა, რომ მამა ომმა წაართვა.

ენლი მოწოდების ფურცლებს აწყობდა უმისამართო კონვერტებში. ილეს ეს „წერილები“ მეზობელი უბნის იქით მიჰქონდა და მალულად უშვებდა საფოსტო ყუთში. ეს იყო დედისაგან გაზიარებული საერთო საიდუმლოება, რაც დიდ ხალისსა და სიხარულს გვრიდა ბავშვს. იგი განსაკუთრებული მონდომებით ასრულებდა უაღრესად საძნელო და საშიშ დავალებას.

ერთ დღეს დედამ უთხრა, წერილების ტარება ცოტა ხნით უნდა შევწყვიტოთო. იმ ქარხანაში, სადაც ენლი მუშაობდა, რამდენიმე კაცი დაითხოვეს სამშვიდობო მოწოდების ფურცლების |გავრცელებისათვის...

პირველად გოგონა ძალიან დაღონდა.

მას ამ საქმეზე თავისებური წარმოდგენა ჰქონდა. იგი ფიქრობდა, რომ თითო ასეთი წერილი სიცოცხლეს უნარჩუნებდა მათ ქუჩაზე მობილიზებულ თითო ჯარისკაცს. ახლა კი რა უნდა ექნა? გოგონა გამოსავალის ძებნაში თავს იმტვრევდა.

ერთხელ, როდესაც იგი მეზობლად ავადმყოფი ჯიმის საწოლთან იჯდა და ჩვეულებრივად რაღაცას უამბობდა, უცებ ფიქრმა გაუელვა: ჯიმიც ხომ ომის მსხვერპლია, მანაც დაჰკარგა მამა! მაშასადამე, უნდა გაუგოს და მიუხვდეს.

თუმცა საქმე მარტო გაგება როდია! გამბედაობა თუ ეყოფა დავალების შესასრულებლად? გოგონამ მოიფიქრა, როგორ გამოეცადა ჯიმი. იმავე საღამოს მოუთხრო დედამისის საქმიანობისა და მასში თავისი მონაწილეობის შესახებ. რა თქმა უნდა, სახელები სხვა მოიგონა, ვითომდა ამბად ჰქონდა გაგონილი. ჯიმის აღფრთოვანებამ მოლოდინს გადააჭარბა. დაწვრილებით დაუწყო ყველაფრის გამოკითხვა. აინტერესებდა, სად ცხოვრობდა ეს მამაცი გოგონა. ილე მაინც თავს იკავებდა, ვერ გადაეწყვიტა, განდობოდა თუ არა. ჯიმის გადაჭარბებულმა ქებამ ცოტა კიდეც დაამორცხვა და უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო. ისიც კი იფიქრა, არ მიმიხვდესო, და დაბეჯითებით განუცხადა: ის გოგონა სადღაც გაქრა და, საერთოდ, ამ ამბავზე ლაპარაკი არ შეიძლებაო. ბიჭუნა სერიოზულად ჩაფიქრდა. ჭორფლიანმა ილემ სავარცხლით შეისწორა თავისი წაბლისფერი თმა და მოულოდნელად წამოისროლა: გოგონა ეძებს ამხანაგს, რომელიც მოეხმარება ასეთი ფურცლების დაწერასა და გავრცელებაში, მაგრამ აქამდე ვერ უპოვია და ალბათ ვერც იპოვისო.

ჯიმი საწოლიდან ბუმბულივით წამოფრინდა, მაგრად ჩაავლო ხელი ილეს მხრებში და თვალებანთებულმა შესძახა:

— სად არის ის გოგონა? მე მივეხმარები!

ილემ აღელვებულ ბიჭუნას სწრაფად მიაფარა ხელისგული პირზე, თავისკენ მიიზიდა და ყურში ჩასჩურჩულა:

— მართლა მომეხმარები, ჯიმ?

ჯიმი აღტაცებით შესცქეროდა გოგონას.

— მაშ ეს შენა ხარ!

ილემ ამაყად დაუქნია თავი, ისევ დააწვინა ბიჭი საწოლზე, გვერდით მიუჯდა და წყნარად, თითქოს ზღაპარს უყვებაო, გადაუშალა სამოქმედო გეგმა. ასე გახდნენ ისინი არა მარტო ერთგული მეგობრები, არამედ შეთქმულნიც.

ბავშვებმა ჩანაფიქრი განახორციელეს: მათ შეადგინეს ისეთივე წერილი, როგორიც ბერლინის მოწოდება იყო, ოღონდ თავიანთ, ბავშვურ ენაზე:

„ძვირფასო დედებო და მამებო!

ძალიან გთხოვთ, ნუ დაუშვებთ, რომ ჩვენი ქალაქიდან ხალხს კორეასთან საბრძოლველად აგზავნინენ, და საერთოდ, ომი ნუღარ იქნება. ჩვენ შეძრწუნებულები ვართ.

ორი ბავშვი, რომლებმაც ომში მამები დაკარგეს“.

ერთ დღეს ილემ დედას საამქროში ცხელი საჭმელი მიუტანა. გოგონამ ქარხნის მეპატრონის მაგიდიდან საანგარიშო ბლანკების მთელი დასტა აიღო და ხელჩანთაში ჩაიდო. შინ ბლანკებს წააჭრა, სადაც ფირმის სახელწოდება იყო აღნიშნული, და პატარა ჯიმმა დაიწყო „ბავშვების წერილის“ გადაწერა. თუ ვინიცობაა, ნაწერ[illegible] არასიმედოს ჩაუვარდებოდა ხელში, ბიჭუნას კონსპირაციისათვის ბეჭდური ასოები გამოჰყავდა. ილემ ენლის კომოდში ოცდაათი კონვერტი იპოვა.

გასაგებია, რომ ბავშვებისათვის ეს არა მარტო სერიოზული საქმე იყო, არამედ მომხიბლავი თავგადასავალიც. ისინი ორ უბანში მოღვაწეობდნენ. როცა ერთი მათგანი კარის ჭუჭრუტანაში ტენიდა ანდა საფოსტო ყუთში აგდებდა წერილს, მეორე კიბის ქვემოთ ყარაულად იდგა. ყველაფერი ეს არც ისე იოლი იყო, რადგან ბოლო ხანებში პოლიციის მაძებრებმა და ზოგიერთმა „გულმოდგინე და თავგამოდებულმა“ მოქალაქემ თვალყურის დევნება გააძლიერეს. ჯიმის ყოველთვის თვითონ უნდოდა ხოლმე შეესრულებინა საქმის ყველაზე სახიფათო ნაწილი — წერილი ყუთში ჩაეგდო. ბიჭს სურდა, ილეს წინაშე გმირობა გამოეჩინა და დაღუპული მამისათვის შური ეძია. ზოგჯერ სიბნელეში ძაღლებიც უყეფდნენ, მაგრამ ჯიმს ხელი არასოდეს ათრთოლებია. თავი ისე ეჭირა, როგორც ნამდვილ ვაჟკაცს. ბავშვებმა რამდენიმე დღეში დაასრულეს საქმე. ოცდაათი წერილი გაავრცელეს და ახლა ახლების დამზადება დაიწყეს.

ჯიმის დედას უკვირდა, რომ ბიჭუნას ჭამის მადა მოუვიდა, სახე გაუვარდისფერდა და ღამეც ღრმა და მშვიდი ძილი ჰქონდა. ძილში არასოდეს არა წამოუძახნია რა.

ყოველივე ამას იქვე მოლივლივე მდინარის სალი და გრილი ჰაერის მადლით ხსნიდა მოხუცი პაპა რეი. ბებია ბეტის შეხედულებით კი საქმე ის იყო, რომ საომარი მოქმედების სანახაობას მოსცილდნენ, შორს გადმოიხვეწნენ და ბავშვები პოლიტიკით აღარ იყვნენ შეშფოთებულნი.

გერმანულიდან თარგმნა
შ. შოთაძემ




18-დან 19 მაისამდე საქართველოს ქალაქებში მიმდინარეობდა ბავშვთა ფილმების საკავშირო კვირეული. ამ დღეების განმავლობაში ნორჩმა მაყურებლებმა ნახეს [illegible] ხანებში მათთვის შექმნილი მხატვრული და მულტიპლიკაციური ფილმები, [illegible] კინოს ცნობილ მოღვაწეებს, გაეცნენ „პიონერფილმის“ ახალ ნამუშევრებს.

კვირეულის მონაწილეთათვის დაწესებული იყო სხვადასხვა პრიზები. ჩვენი ჟურნალის პრიზი კინოფილმში „მე თქვენ დაგელოდებით“ შესრულებული როლისათვის მიეკუთვნა ცნობილ მსახიობს ზ. გერდტს.

# ჯადოსნური ღამე

ჩვენს ფილმში ნაჩვენები ამბავი ერთ ზაფხულის ღამეს მოხდა უღრან ტყეში. ტყის სულები, ხეები, ბალახები, ყვავილები ქანდრიის ჭალაში გაჩაღებული კოცონის გარშემო ზეიმობდნენ. ნადირ-ფრინველის მწყემსის ოჩოპინტრეს ოინების გადამკიდე, ამ კოცონს სამი ძმა მიადგა ღამის გასათევად. ძმები თავ-თავიანთი საქმის უბადლო ოსტატები იყვნენ. ერთმა მათგანმა ხისგან ქალი გამოთალა, მეორემ ჩააცვა, მესამემ სული ჩაუდგა, მაგრამ იმ ღამეს ძმები კიდევ ერთ სიბრძნეს ჩასწვდნენ: მაღალი მიზნის მისაღწევად უბადლო ოსტატობა, შენი საქმის კარგი ცოდნაც კი არ არის საკმარისი, უნდა დაივიწყო, გასწირო ყოველივე მეორეხარისხოვანი და უმნიშვნელო, აურაცხელი ოქრო-ვერცხლი იქნება ეს, ძვირფასი ბეწვეული თუ პატივმოყვარეობა. უმაღლესი მიზნის მისაღწევად არაფერი არ უნდა დაიშურო და მაშინ შეუძლებელიც კი აღსრულდება. ადამიანისათვის კი არ არსებობს უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე დასახული მიზნის განხორციელება. თუმცა ამისათვის კიდევ ერთი პირობაა აუცილებელი: სრული ჰარმონია ბუნებასთან და სამყაროსთან. ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ უაზროდ ხის მოჭრა, გარემოს გაბინძურება იგივე სიცოცხლის ხელყოფაა. ბუნებასთან, სამყაროსთან ჰარმონია ადამიანის არსებობის, მისი ბედნიერების აუცილებელი პირობაა.



ვილნიუსის ფესტივალზე, ლევან უჩანეიშვილი, თემურ ფალავანდიშვილი.

# იშხვარი ანუ ყარყატი




ყარყატის, ლაკლაკისებრთა ოჯახის წარმომადგენელი ამ ფრინველის რიცხოვნობა მკვეთრად მცირდება. საზოგადოდ, ყარყატი გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და, შესაძლებელია, სამხრეთ აფრიკაშიც. საქართველოში იგი გვხვდებოდა ბორჯომ-ბაკურიანის, თეთრი წყაროს მიდამოებში, ალგეთისა და ხრამის ხეობებში. ამჟამად გვხვდება მადათაფის, ხოზაფინისა და ფარავნის ტბების სიახლოვეს. საერთოდ კი საქართველოში მისი რიცხოვნობა არ აღემატება 10 წყვილს.

ყარყატი ბუდობს ხეებზე, ტყეებსა და ჭალებში, კლდეებსა და მთის ქვაბულებში, ჭაობებისა და ტბების პირას. ხეებსა და კლდეებში გაკეთებულ ბუდეს ხმარობს მრავალი








ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჩოპინტრე — ლევან უჩანეიშვილი

დურგალი — თამაზ თოლორაია

იბრუხი — სოსო ჯაჭვლიანი

ჩვენს ზღაპარში, ძმები ხისგან გამოთლილ ქალს გააცოცხლებენ, საპასუხოდ ტყე ძმებს აჯილდოებს და ტყის სულები მათ თავიანთი ზეიმის მონაწილედ ხდიან. როცა მამალი მესამეჯერ იყივლებს, გათენდება და ჯადოსნური კოცონიც ჩაქრება, ტყის სულები გაუჩინარდებიან. ძმებთან მხოლოდ მათ მიერ გაცოცხლებული ალვის სული რჩება. ძმები ხვდებიან, რომ მასაც თავისი და-ძმებივით მხოლოდ ტყეში შეუძლია სიცოცხლე და შეუსრულებენ სურვილს, ისევ ალვის ხედ აქცევენ, თვითონ კი მამაპაპისეულ სახლს მიაშურებენ, რათა თავიანთი ცოდნა ერს და ქვეყანას მოახმარონ.

ზღაპარი აუცილებლად გულისხმობს საინტერესო, ემოციურ თხრობას და უსათუოდ შეიცავს გარკვეულ მორალს, დიდაქტიკას. იგი გვასწავლის ბოროტისა და კეთილის გარჩევას. ზღაპარი რომ არ იყოს, ბავშვის, მერე კი მოზრდილი ადამიანის სულს საოცრად ბევრი რამ დააკლდებოდა, უპირველეს ყოვლისა კი რწმენა სიკეთის უცილო გამარჯვებისა და ბოროტების უეჭველი დათრგუნვისა. ხოლო თუ ადამიანს ეს რწმენა არა აქვს, მისი არსებობა, მისი ბრძოლა სიკეთის გამარჯვებისათვის შეუძლებელია.

„ჯადოსნურმა ღამემ" 1985 წლის იანვარში ვილნიუსში გამართულ მე-3 საკავშირო ფესტივალზე — „ზღაპარი" — მთავარი პრიზი, ლომი ბონიფაციუსი დაიმსახურა.

ოჩოპინტრეს როლის შემსრულებელმა ლევან უჩანეიშვილმა მიიღო პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის. ფილმი დაჯილდოვდა აგრეთვე ლიტვის სსრ განათლების სამინისტროს სპეციალური სიგელით.

ფილმის სცენარის ავტორია ნუკრი მამულაშვილი, რეჟისორი თემურ ფალავანდიშვილი, ოპერატორი ალექსანდრე სულამანიძე, მხატვარი გია ლაფერაძე. მუსიკა კომპოზიტორ სულხან ცინცაძისაა.

**თემურ ფალავანდიშვილი**



თორძი — რეზო იმნაიშვილი
მკურნალი — ვახტანგ ფანჩულიძე

წლის განმავლობაში. ყარყატის ბუდე საკმაოდ მოზრდილია, ხანდახან 1,5 მ-ს აღწევს, შიგნიდან ამოგებულია ბალახით, ფოთლებით, მატყლით, ქაღალდის ნაგლეჯებით და სხვ. აპრილში ყარყატი დებს 2-5 კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 32-46 დღე-ღამეს. დედალ-მამალი კრუხობს მორიგეობით.

ყარყატის რიცხოვნობის კლების მთავარ მიზეზად საბუდარი ტერიტორიის სამეურნეო მიზნით ათვისებას და შემაწუხებელი ფაქტორების გაძლიერებას მიიჩნევენ.

ყარყატი შეტანილია „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში" და დაცულია სამონადირეო კანონმდებლობით.

## უცხოური იუმორი

### რჩევა

— რას უჩივით, სენიორ?

— თავად ვერ ხვდებით, ექიმო?!

— მაშინ ვეტერინარს მიმართეთ, მხოლოდ მას შეუძლია შეკითხვების გარეშე დიაგნოზის დასმა.

### სისადავე

დიასახლისმა ახლად დაქირავებულ მოახლეს ჰკითხა:

— მითხარი, გეთაყვა, თუთიყუშები გიყვარს?

— ნუ წუხდებით, ქალბატონო, ყველაფერს ვჭამ.

### ახალგაზრდა

მონიკა პიანინოზე ახალბედა დამკვრელია, მაგრამ მშობლებმა სიამაყით სთხოვეს პატარას, სტუმრებთან დაეკრა.

როცა გოგონამ დაკვრა დაასრულა, ერთმა სტუმართაგანმა, პროფესიონალმა პიანისტმა, შეაქო იგი და თან ჰკითხა:

— რატომ პედალზე ფეხს არ აჭერ?

— საქმე ის არის, — მიუგო მორცხვად მონიკამ, — მე ჯერ იმდენად ჩქარა არ ვუკრავ, რომ მუხრუჭებით ვისარგებლო.

### პოლიკლინიკაში

— ექიმო, მხედველობა ნამდვილად გამიუმჯობესდება, თუ უფრო მეტ სტაფილოს შევჭამ?

— რა თქმა უნდა! გინახავთ განა ოდესმე სათვალიანი კურდღელი?!

### გაკვეთილზე

— მამას არ მოაწერინე ხელი დღიურში? — ჰკითხა ოტოს მასწავლებელმა.

— ექიმმა აუკრძალა მამაჩემს: არამც და არამც თქვენი ნერვიულობა არ შეიძლება! — მიუგო მან.

შ. ზაქარიაძე



● მაკრატლის პირზე გაკეთებული მილიმეტრული სკალა საშუალებას მოგცემს ესა თუ ის მასალა ზუსტად საჭირო ზომაზე გაჭრა სახაზავით წინასწარ გაზომვის გარეშე.

● უხიფათო საპარსის დახმარებით ნაბეჭდ ტექსტში შეგიძლია ისე წაშალო ერთი ან ორი ასო, რომ მეზობელი ასოები არ დააზიანო.

● ზეთოვანი საღებავი შენახვისას შრება და ზედაპირზე სქელ აფსკს გადაიკრავს ხოლმე. საღებავის ზედაპირს მკვრივი ქაღალდისაგან გამოჭრილი წრე დადე და ოლიფის ან სამანქანო ზეთის თხელი ფენით დაფარე. საღებავი აღარ გახმება.

● სააბაზანოში სარკე არ დაიორთქლება, თუ მას საავტომობილო მინების ორთქლსაწინააღმდეგო აეროზოლს მიასხურებ

● ერთი შეხედვით, სიჩქარეთა კოლოფის ადგილი ავტომობილსა და ტრაქტორშია... მაგრამ თურმე ამ მოწყობილობის გამოყენება სამზარეულოშიც თავისუფლად შეიძლება: საკმარისია ხორცსაკეპ ქბილანათა ერთი წყვილისაგან შედგენილი რედუქტორი მოარგო და დიასახლისის მადლობა გარანტირებული გექნება.

● მრგვალ ბატარეას ბრტყელი ბატარეისთვის განკუთვნილ ფარანში ვერ ჩადებ და ვერც ბრტყელ ბატარეას მოიხმარ თუ მრგვალი ელემენტისთვის განსაზღვრული ფარანი გაქვს. მაგრამ არსებობს გამოსავალი: ნათურიანი რეფლექტორი, რომელსაც შეიძლება მიამაგრო ამა თუ იმ ბატარეიანი კასეტი იმის მიხედვით, რომელი მათგანი გაქვს ხელთ — მრგვალი თუ ბრტყელი.















## საძიებელი


თ. ცაგარელი — კახათელი პიონერების საფესტივალო საზარუნავი (ნარკვევი) . . . . გარეკ. 2
ნაირფერი ყელსახვევების კავშირი . . . 3
ზ. ტაბაღუა — შეცდომა (მოთხრობა. გაგრძელება) . . . 4
„ნორჩი ლენინელი“ 60 წლისაა (წერილი) . 10
ყურადღება! ვაჯამებთ „ვიქტორინა-კონკურსს“ . . . . . .. . . 12
ს. შამფრიანი — მკათათვე; საღამო (ლექსები) . . . . . . 13
ი. ტალიაშვილი — პატარა დეტექტივი (მოთხრობა) . . . . . 14
ლ. სტვილია — ჩემს საქართველოს ვუმღერი; გვიყვარს ჩვენი კარგი სკოლა (ლექსები) . . . . . . . 16
დ. გოზალიშვილი — იალბუზი (წერილი) . . . . . . . . . 18
საინტერესო სიახლენი . . . . . . . 21
აისი . . . . . . . . . . . 22
ლ. მესხი — დედის ხმა (მოთხრობა) . . . . . . 24
პ. ბოჭორიშვილი — წყალი+ბურთი=წყალბურთს (წერილი) 27
ფ. ვოლფი — ბავშვების წერილი (მოთხრობა) . . . . . . 28
თ. ფალავანდიშვილი — ჯადოსნური ღამე (წერილი) . . . 30
„საქართველოს სსრ წითელი წიგნიდან“ — იშხვარი, ანუ ყარყატი . . . . . . . . . . 30
უცხოური იუმორი . . . . . . . . . 31
გამოგადგება . . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . . . გარეკ. 3
თ. ჭალაღანია — ანტონის ვან დეიკი (წერილი) . .გარეკ. 4


---


გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა თემურ ფხიკიძისა.

---

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ ბოცვაძე, ავთანდილ ბურბენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, რობერტ ლარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

---

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

---

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-31, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-58-06, განყოფილებების—93-97-92, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 27. 05. 85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 8. 07. 85 წ., ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_3$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. № 1197. ტირაჟი 157.000. ეგზ., უე 05275.

---

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

---

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60 \times 90^1/_3$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 157.000 экз. Цена 20 коп.


---

© „პიონერი“, 1985 წ.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. უნაგირის ხის ჩონჩხი; 3. საუკეთესო ხარისხის ნაყინი; 8. სუბტროპიკული ხე-მცენარე; 9. მსუბუქი ჟანრის თეატრი; 10. ჭ. ამირეჯიბის რომან „დათა თუთაშხიას" პერსონაჟი; 13. მთავარი არტერია; 15. საფრანგეთის ქალაქი; 17. აღმოსავლური საკრავი; 18. ალ. ტოლსტოის ზღაპრის გმირი; 22. საბჭოთა სპორტსმენი, მსოფლიო ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში; 23. მცენარეთა სამყარო; 24. ქართველი საბჭოთა პოეტი; 25. ლარი.

**შვეულად:** 1. გემის უფროსი, მეთაური; 2. მომკილი პური, რომელიც ერთ ხელში დაიჭირება; 4. იაპონიის ქალაქი; 5. გარეული ცხოველი; 6.აზრი, ჩანაფიქრი; 7. აფრიკის სახელმწიფო; 11. მოედანი კრივში შეჯიბრებისათვის; 12. არგენტინელი მოჭადრაკე; 14. ქართველი საბჭოთა მწერალი; 16. წრიულად მოძრავი გრიგალი; 19. კერძი, წილი; 20. ლითონის ჭურჭელი; 21. ფირნიში.

შეადგინა ს. ბაგუამ



ჭირნახულის სინონიმურ
სახელს თუკი იტყვი,
დაიტოვე დასაწყისი
სამი ბგერა სიტყვის.

ერთიც მუხის ნაყოფია,
გაიხსენებ სწრაფად,
არც თავსართის მოცილებას
უნდა დიდი ჯაფა.

წიწვიანი ხიდან გვინდა
ბოლო ორი ბგერა. —
გახლავთ ხალხთა მეგობრობის
და მშვიდობის კერა.

შ. ამირანაშვილი

## იქნებ მოახერხოთ



აქ მოცემული ხახის ნაკვთების მონახაზები ისე დაალაგეთ, რომ მიიღოთ სხვადასხვა განწყობილების (სიხარულის, წუხილის, სიბრაზის, გაკვირვების, შიშის) გამომხატველი სახეები.

## საზრიანი ოსტატი

ოსტატს მიუტანეს სპილოს ძვლის ფირფიტა, რომლის სიგრძე 16 სმ იყო, ბოლო სიგანე 9 სმ. დამკვეთის თხოვნით, ოსტატს ეს ფირფიტა ორზე მეტ




ნაწილად არ უნდა დაეჭრა და ისე უნდა დაემზადებინა კვადრატი, რომლის გვერდები ზუსტად 12 სმ იქნებოდა.

ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ ოსტატმა დამკვეთს თხოვნა შეუსრულა.

აბა სცადეთ და იქნებ თქვენც მიხვდეთ, როგორ მოიქცა ოსტატი.

## გამოცანა

სიარულისას ბაჯბაჯებს
(დათვივით — ასე განსაჯეთ);
დაცურავს, როგორც კალმახი
(იცის ყვინთვა და მალაყი);
ბრაზობს—გველივით სისინებს
(გაგიკვირდებათ — ვიცი მე);
მეწვიეთ, უნდა განახოთ,
ძროხასავით რომ ბღავის...
მაგრამ არ არის არცერთი...
რა უნდა იყოს ასეთი?

ნ. მარიხია

## შარადები

ჭერ განთიადის მეორე
სახელწოდება მითხარ,
სამმარცვლიანი სიტყვაა,
ფიქრი არ გინდა დიდხანს.
ცვარის მეორე სახელიც
ხომ ცნობილია შენთვის? —
მისი მესამე ბგერაა,
რომელიც თავში ერთვის.
რარიგ მოხატა მთა-ბარი,
აბა, შეხედე ერთი!

## პასუხი № 6-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

### კროსვორდი

**თარაზულად:** 1. შაპიტო; 4. კალაძე; 10. პრაქტიკა; 11. კენტავრი; 13. ნუში; 14. ისტორია; 15. ადლი; 18. ატლასი; 19. პლასტიკა; 20. სარაჯიშვილი; 24. ჩელებაძე; 26. რეჟიმი; 29. რემა; 30. პლატინა; 31. ელვა; 34. სანიტარი; 35. უზუნდარა; 36. ავარია; 37. კაკალი.

**შვეულად:** 1. შოპენი; 2. პლანშეტი; 3. ტოტო; 5. ალტი; 6. აკვედუკი; 7. ემისია; 8. აკუსტიკა; 9. „აელიტა"; 12. კომპლიმენტი; 16. ფარადეი; 17. სტელაჟი; 21. ვერონეზე; 22. გერმანია; 23. ამალგამა; 25. ადლერი; 27. ფრესკა; 28. მადანი; 32. ეტლი; 33. ანძა.

### მეტაგრამები

ბორანი, ფორანი, ყორანი;
ჯამი — ჯამა;
ქარი, თარი, ზარი;
ჯაგარი — ჯაგანი
გოლი — მოლი;

### გამოცანები

თითისტარი, მჯასუმზირა,
ყაყაჩო, ქვევრი.

6235/108

## ჩვენი საგანძური

ეროვნული ბიბლიოთეკა



ელიზაბეთ და ფილადელფია — უორტონების პორტრეტი

ანტონის ვან დეიკი.

ცნობილი ფლამანდიელი მხატვრის — ანტონის ვან დეიკის სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული მისი დიდი თანამემამულის — რუბენსის სახელთან. თვრამეტი წლისა იყო ვან დეიკი, როდესაც მან 1617 წელს რუბენსის სახელოსნოში დაიწყო სწავლა, ხოლო სულ მალე მისი უახლოესი თანაშემწე და მეგობარი გახდა. ისინი ერთად მუშაობდნენ დიდ ფერწერულ ტილოებზე. ასე რომ, ხშირად უჭირთ კიდეც გაარჩიონ, თუ სად არის მასწავლებლის ხელი და სად — მოწაფისა. ახალგაზრდა ვან დეიკი, რასაკვირველია, განიცდიდა თავისი ბრწყინვალე მასწავლებლის გავლენას, მაგრამ უკვე ამ პერიოდში გამოვლინდა მისი ნიჭის თავისებურებებიც — იგი იყო უფრო ნაზი, რაფინირებული და თავდაჭერილი, არ გააჩნდა რუბენსის დაუოკებელი ძალა და ტემპერამენტი.

ალბათ, სწორედ საკუთარი, განუმეორებელი გზის პოვნის სურვილმა აიძულა სრულიად ახალგაზრდა, 22 წლის მხატვარი, მიეტოვებინა მშობლიური ანტვერპენი, რუბენსის სახელოსნო, და იტალიაში, შემდეგ კი ინგლისში გადასახლებულიყო.

ვან დეიკს აქვს სურათები მითოლოგიურ და რელიგიურ სიუჟეტებზე, მაგრამ მისი მთავარი მოწოდება იყო პორტრეტი, და სწორედ პორტრეტის ხელოვნებამ მოუტანა აღიარება მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ინგლისში. უმაღლესმა მხატვრულმა ოსტატობამ, კეთილშობილურმა და დიდებულმა სტილმა უამრავი თაყვანისმცემელი გაუჩინა ვან დეიკს. იგი გახდა მეფე კარლოს პირველის კარის მხატვარი; მეფემ რაინდის წოდება უბოძა მას, ინგლისის რჩეული საზოგადოება ცდილობდა მისი სურათების შეძენას. ვან დეიკი ველარ აუდიოდა მოზღვავებულ შეკვეთებს, თუმცა მრავალი თანაშემწე და მოწაფე ჰყავდა. ინგლისში მან თავისი ხანმოკლე ცხოვრების უკანასკნელი 8 წელი გაატარა, და ამ ხნის განმავლობაში 300-ზე მეტი ბრწყინვალე პორტრეტი შექმნა, მათ შორის მრავალი თავად მეფის და მისი ოჯახის წევრებისა. ერთ-ერთი მათგანის ნახვისას საფრანგეთის დედოფალმა მარია მედიჩიმ თქვა: „მხატვრის ფუნჯმა ისეთი ოსტატობით გამოსახა მეფე, რომ თავისუფლად შეიძლება თვალმა მოგვატყუოს და ცოცხალ მეფე კარლოსად მივიჩნიოთ იგი".

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პორტრეტები, რომლებსაც ნაკლებ ოფიციალური და საზეიმო ხასიათი აქვთ, უფრო ცოცხალი, უშუალო და თავისუფალია. ასეთია „ელიზაბეთ და ფილადელფია უორტონების პორტრეტი". ლამაზ აბრეშუმის კაბებში გამოწყობილი გოგონები აშკარად პოზირებენ მხატვრის წინაშე, მაგრამ იგი არც ცდილობს ამის შენიღბვას. პატარა ფინიაც კი, რომელიც გაკვირვებულია იმით, რომ მისი ცელქი პატრონები ასე სულგანაბული დგანან, ამაოდ ცდილობს მათი ყურადღების მიპყრობას. და მაინც ბავშვების მომხიბლავ ვარდისფერ სახეებზე მხიარული ღიმილია. მათი თვალები კი აღსავსეა ცოცხალი ონავრობით.

ამ პორტრეტისათვის ვან დეიკმა შეარჩია უნაზესი, დახვეწილი ფერადოვანი გამა. კაბების ვერცხლისფერი და ცისფერი ბზინვა განსაკუთრებით გამოყოფს ბავშვების კანისა და თმის თბილსა და რბილ ფერებს. მხატვარმა შეგნებულად გამოყო გოგონების ნათელი ფიგურები მუქი კედლის ფონზე, რაც განსაკუთრებულ სიმსუბუქეს და თითქმის შინაგან ციმციმს ანიჭებს მათ.

ამ პორტრეტში ვან დეიკმა შესანიშნავად შეათავსა გამოსახვის მაღალი ოსტატობა და ბავშვების ხასიათის გასნისადმი ინტერესი, გადმოსცა ბავშვური სინაზე და ხალისიანობა.

ვან დეიკის ხელოვნებამ წარუშლელი გავლენა იქონია ინგლისელი პორტრეტისტების მრავალ თაობაზე. წლები, რომლებიც მან ინგლისში დაჰყო, შესაძლოა ყველაზე ამაღლევებელი პერიოდია ინგლისური ფერწერის ისტორიაში.

თეო ჯალაღანია,

ხელოვნებათმცოდნე.